გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N16 (9196) 10 ივნისი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

**საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს გაიმართება**

## სოფელი მადლიერია



3



4

## იმპორტს ექსპორტი ჩაანაცვლებს

## ადგილობრივ ბიუჯეტს თანხა ჩამოეჭრა

2



## საკრებულოში დაბალი რეგისტრიც ისმის



2

## 8 არჩევნები სოფლებში

## ჩემი ინტერესია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ვაწარმოო 4

## 2 ტაში მას, ვინც ოპოზიციას კოვზი ნაცარში ჩააგდებინა

## ორი ერის დამაკავშირებელი "თეთრი ხიდი"



6

## ვისთან ვისაუბროთ პოლიტიკურ ნიშნებზე? 5

# საკრებულოში დაბალი რეგისტრიც ისმის



თეა ბაბუნაშვილი

მაღალი ისედაც ისმოდა, ამიერიდან კი საკრებულოს სხდომათა დარბაზში დაბალი რეგისტრიც გასაგები იქნება! დაბოლოს ხმის გამაძლიერებელი საშუალებები შეძენილია. მართალია, ოპოზიციამ მაინც აღნიშნა, რომ ეს საოფისე მოწყობილობა არ გახლავთ და უკეთესი აპარატურის შეძენაც შეიძლებოდა, მაგრამ რაც არის ეს არის, მით უმეტეს, რომ დარბაზში უკვე ყველა რეგისტრისა და ტემბრის გაგონება შეიძლება. ვისაც მიკროფონი ისედაც არ სჭირდებოდა, და ასეთი მე ვარო, ქალბატონმა მანანა სირბილაძემ, უმიკროფონოდ, ვისაც სჭირდებოდა და მიკროფონით, საკუთარი საკითხები მომხსენებლის ამპლუაში განსახილველად გამოიტანეს. ისინი არცთუ ისე ცოტა იყო და საკრებულოს სხდომაც არცთუ ისე ცოტა ხანს გაგრძელდა.

ძირითადად, მუხლობრივი ცვლილებებით შემოიფარგლნენ. თანხის ერთი მუხლიდან მეორეში გადატანა ხშირია საკრებულოს მუშაობის სინამდვილეში. ამჯერადაც კომუნალურ გაერთიანებას, მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლს, საჭიდაო კლუბ ''ფალავანს'', ხელბურთელთა კლუბ ''სამტრედიას'', საცხენოსნო კლუბს, კულტურის ცენტრს მსგავსი ცვლილებები ჰქონდათ მიმდინარე წლის ბიუჯეტში. გარდა ამისა, საფინანსო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანმა სხდომაზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო იურიდიული პირების, სპორტსმენების სპორტულ ღონისძიებებზე გამგზავრებისას კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობასა და ანაზღაურების წესის დამტკიცებაზეც ისაუბრა. ასეთ შემთხვევებში ყოველდღიური კვებისთვის გამოყოფილი დღეში 8 ლარი 15 ლარამდე გაიზარდა.

საკრებულოს წევრის, ზაზა ადეიშვილის ინიციატივით, სხდომაზე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ხელბურთელთა კლუბ ''სამტრედიას'' წარმატება გახდა. იგი პირველი ადგილისთვის ბრძოლაში აჭარის ''შავი ზღვის ბიჭებთან'' დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა. ბრძოლა დაძაბული გახლდათ და მიუხედავად იმისა, გადამწყვეტ მატჩში დამარცხდნენ, თამაში ტექნიკურად გამართული და კარგი იყო. აქვე აღსანიშნავია, რომ პირველ ადგილზე გასულ გუნდსა და ჩემპიონატის სხვა ძლიერ გუნდებში არაერთი მოთამაშე სწორედ სამტრედიის ნაკრებიდან წასული გახლდათ. ბადრი შენგელიამ გულისწყვეტით გაუსვა ამას ხაზი: ''ხელშეკრულებაში უნდა ჩავდოთ ისეთი მექანიზმი, რომ მოთამაშემ ადვილად არ დატოვოს გუნდი. ამჯერად, წამყვანმა მოთამაშემ ჩემპიონატიდან ცოტა ხნით ადრე ასეთი რამ ჩაიდინა და ოქროც დავთმეთ. უმთავრესად სწორედ მის ხარჯზეა პირველობისას მოწინააღმდეგეთა გამარჯვება.'' ამაში მას ბევრი დაეთანხმა. ზაზა ადეიშვილმა კი აღნიშნა: ''პრაქტიკაშიც არის და საჭიროცაა ასეთი მექანიზმის ამოქმედება. მოგეხსენებათ, როცა საქმე ფულს ეხება სინდის-ნამუსზე ლაპარაკი ძნელია, არასპორტული საქციელი უკვე მეორეხარისხოვანია.'' იმ სხდომაზე კი სპორტულმა სამტრედიამ ტაში დაიმსახურა, რადგან ამ კუთხით არაერთ სფეროში დიდი მიღწევები აქვს რაიონს.

ღანირსა და სხვა სოფლებში სასოფლო-სამეურნეო მიწების იჯარასთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მერაბ უღრელიძემ გაასაჯაროვა. მანვე ისაუბრა შპს ''ლუკნეტისთვის'' ელექტროგადამცემი ბოძების პირდაპირი გადახდის წესით იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისთვის წლიური ქირის დაწესების საკითხებზე.

ურთიერთბრალდებებზე საუბარ-კამათისას, რის გარეშეც იშვიათად საკრებულოს სხდომა ჩატარდეს, კორცხელი, რა თქმა უნდა, მოჰყვა განსასჯელ საქმეთა რიცხვში. ''ხო ჟეჟეს ცხვირ-პირში ბოკერიას, ეკუთვნის, ჯერ სად ხართ, მალე ქუჩაში ვერ გაივლით ყოფილი ხელისუფლება.'' ჩემი საქმე რომ იყოს, აქამდეც ვერ ივლიდით, მაგრამ სასამართლოსა და პროკურატურაში ჯერ ისევ თქვენი ხალხია.'' _ ამბობდა მანანა სირბილაძე. ''ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ასე უნდა ლაპარაკობდეს? ეს ერთი და მეორეც, თუ ყველგან ჩვენი ხალხია, რა გინდათ თქვენ ხელისუფლებაში?'' _ რა თქმა უნდა, უპასუხოდ არ ტოვებდა მას ემზარ შუბლაძე. მოგვიანებით ადამიანის უფლებათა დაცვის სამტრედიული კომისიის თავმჯდომარემ კომენტარში განაცხადა: ''ვამბობთ ყველა, ვამბობთ ერთხმად, გუშინ ბატონმა ბიძინამაც აღნიშნა, რომ კორცხელი სამარცხვინო ფაქტია, ვგმობთ მას. ცხადია, რომ ეს ''ნაციონალების'' პროვოცირებული გახლავთ. იქ, კადრებში, ხელკეტის ხმარებაში გამოწვრთნილი ხალხიც გამოჩნდა. ამას გამოძიება დაადგენს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ დასაგმობი ფაქტია. ეს გაკვეთილი უნდა იყოს და არასდროს არ უნდა განმეორდეს. მაგრამ ათასჯერ ნათქვამი არ ესმით და კიდევ სათავისოდ აგრძელებენ ლაპარაკს. ამიტომ ვთქვი, ღირსი იყო, ოღონდ დამანებეთ თავი-თქო, იქნებ ასე მაინც გაიგონ.''

და ერთი განცხადებაც, რომელსაც არანაკლები ხმაური მოჰყვა. მორიგი შელაპარაკებისას, ვინ კანონიერად მართავდა ქვეყანას და ვინ უკანონოდ, ვინ აშავებდა და ვინ აკეთებდა, საკრებულოს წევრმა გია ხაბეიშვილმა დასაქმების პროგრამა გაიხსენა და დეპუტატობისნ ყოფილი კანდიდატის, მერაბ ჯანელიძის სიტყვები მოაყოლა, რომელსაც უთქვამს, გამგეობაში მიდი და იქ ამ პროგრამით თანხას აიღებო. ''არადა, არაფერი გამიკეთებია, თანხა კი ავიღე.'' _ დასძინა მან. მისმა გამოსვლამ ბევრი გააცინა, ბევრი კი ააყვირა. ''კაი, ამან ტყუილა აიღო, თქვენ რატომ მიეცით?!'' _ არ ცხრებოდა ჯონი ახობაძე. მსგავსი შელაპარაკება მრავლადაა საკრებულოს სხდომებზე. შინაარსი ძირითადად იდენტურია, ამიტომ ყველაზე საინტერესოებს, თანამედროვედ რომ ვთქვათ ''პრიკოლებს'' დროდადრო შემოგთავაზებთ.

# ტაში მას, ვინც ოპოზიციას კოვზი ნაცარში ჩააგდებინა

თეა ბაბუნაშვილი

საკრებულოს სხდომაზე ხმაური სოფელ ღანირში 175000 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთის შპს ''რკ. ჭაგანის'' მფლობელობაში გადასვლის საკითხს მოჰყვა. როგორც ოპოზიცია ამტკიცებდა, იგი რამდენიმე დღის წინ კოოპერატივად ფორმალურად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას არ უნდა გადასცემოდა იჯარით, მაშინ, როცა მასზე პრეტენზია ოთხ კონკურენტ იურიდიულ პირს ჰქონდა. ერთ-ერთი მსურველი, ლაშა კვანტალიანი სხდომას ესწრებოდა და ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა. სხდომის წევრებს განუცხადა, რომ აღნიშნული ფართი ბიზნესის გასაფართოვებლად სურდა და საკრებულოს სთხოვა, საკითხთან დაკავშირებით ნაჩქარევ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებდნენ. ოპოზიცია კანონის მოშველიებით ამტკიცებდა, რომ მიწის ნაკვეთი ამ კოოპერატივს უნდა გადასცემოდა, რადგან მას ფინანსური და ტექნიკური სახსრები აქვს და სხვების დასაქმებასაც შესძლებს. ისინი იშველიებდნენ კანონს, რომელიც მიწის აუქციონზე გაყიდვის ვალდებულებას აკისრებს ადგილობრივ ხელისუფლებას. მანანა სირბილაძის რეპლიკამ: ''სულ აუქციონზე არ გაქვთ გაყიდული მიწები, ბატონო ემზარ?'' ისედაც ახმაურებული დარბაზი კიდევ უფრო აახმაურა. ''ერთი წუთით მაცადეთ ლაპარაკი. რა ხმა გაქვთ ასეთი მიღებული, რომ არავის აცლით? კომისიამ იმუშავა ამ საკითხზე და გამოიტანა გადაწყვეტილება. ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ მხარეს და არ ვიცავთ არავის ინტერესებს. არ გაამართლებს? ჩამოერთმევა ერთ მხარეს და გადაეცემა სხვას.'' _ ამბობდა მანანა სირბილაძე. ''თუ ჩვენ გვინდა, სოფელში ახალგაზრდები დავამაგროთ და მიგრაცია შევაჩეროთ, მსგავს სიტუაციებში ადგილობრივი მოსახლეობის მხარე უნდა დავიჭიროთ.'' _ თვლიდა უმრავლესობა. ''მორალური თვალსაზრისითაც სწორია ეს გადაწყვეტილება. ადგილობრივ სეგმენტს უპირატესობა უნდა ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ყველა საქართველოს მოქალაქეა და გარეშე არავინაა, მაგრამ ამ შემთხვევაში გარეშე პირზე მეტად ეს ფართობი ადგილობრივებს ეკუთვნით, მით უმეტეს, რომ ისინი ახალგაზრდები არიან.'' _ დასძინა დავით ამაღლობელმა. სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ნოე ივანიაძე გადაწყვეტილების კანონიერ მხარეს უსვამდა ხაზს და ასაბუთებდა, რომ მიწის ნაკვეთის კოოპერატივ ''რკ. ჭაგანზე'' მიკუთვნებით კანონი არათუ ირღვეოდა, სწორედ ეს გადაწყვეტილება გახლდათ კანონიერი: ''სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა ხელი შეუწყოს და დაეხმაროს კოოპერატივების ფუნქციონირებას, მით უმეტეს, რომ აღნიშნული კოოპერატივი ადგილობრივი ახალგაზრდებისგან შესდგა. მათ კონკრეტული გეგმები აქვთ. ეს პროგრამა საპილოტეა, მიწა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკუთრება. დანარჩენი საკრებულოს გადასაწყვეტია.''



საქმის პოლიტიზირებას მოვერიდოთ, ლაშა კვანტალიანმა, მეტიც, როგორც აღნიშნა, მისთვის უცნობი იყო ამ ნაკვეთით დაინტერესებული ახალგაზრდების ამბავი და საჭიროების შემთხვევაში დაეხმარებოდა მათ, თუნდაც, ტექნიკით. ამ სიტყვებით მან დარბაზი დატოვა. გასვლისას საკრებულოს უმრავლესობის ტაში დაიმსახურა. დარბაზში კი ჩაილაპარაკეს, რომ ამ სიტყვებით ოპოზიციას კოვზი ნაცარში ჩააგდებინა.



# ადგილობრივ ბიუჯეტს თანხა ჩამოეჭრა

თეა ბაბუნაშვილი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს 85 ათასი ლარი ჩამოეჭრება და სახელმწიფო ბიუჯეტს დაუბრუნდება. ამ საკითხზე საკრებულომ ბოლო სხდომაზე იმსჯელა. თანხა რეგიონალური განვითარების ფონდის დაფინანსებით განხორციელებული პროექტების ტენდერების ეკონომიის შედეგად დაგროვდა. წლების განმავლობაში ამგვარი ეკონომიის შედეგად დაგროვილი თანხები ადგილობრივ ბიუჯეტს არ ეჭრებოდა. ბოლო ორი წელია, რაც ეს ''ტრადიცია'' დამკვიდრდა. საკრებულოს სხდომაზე ამას ხაზი გაუსვა ოპოზიციამ. საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა ზურაბ გოგიამ გააკეთა: ''2 მილიონ 495 ათასი ლარი წლის დასაწყისში გადმოირიცხა რგფის მიერ გზების რეაბილიტაციისათვის. აქედან მხოლოდ 5% იყო ადგილობრივი ბიუჯეტის წილი. ტენდერების ხარჯზე დაგროვდა 85 ათასი ლარი, რომელიც წაიღო ცენტრალურმა ბიუჯეტმა. მართალია, ბოლო ორი წელია, ეს თანხა მიაქვს ცენტრალურ ბიუჯეტს. წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ არაა გამორიცხული იგი გაზრდილი რაოდენობითაც კი სხვა პროექტისთვის დაუბრუნდეს რაიონს.''

მამუკა ბიბილეიშვილი, რომელიც საკრებულოს ბოლო სხდომაზე განსაკუთრებით აქტიური იყო, ამის საპირწონედ აცხადებს: ''ეს მიანიშნებს იმას, რომ ბიუჯეტში მთლად სახარბიელო მდგომარეობა არა აქვთ. მუნიციპალიტეტებზე გამოყოფილი თანხები ადგილზე რომ დატოვონ ცალკეული მუნიციპალიტეტის განსაკარგავად, არ შეუძლიათ. ის, რომ წაღებული თანხები მომატებული ოდენობით უკან დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტებს, ვარაუდია. და თუ ასეთი რამ მაინც მოხდება, ეს არ ნიშნავს წაღებული თანხების დაბრუნებას. ის პროექტები, რომლებსაც ეს თანხები მოჰყვება, სამი-ოთხ წელზე გაწერილი პროგრამით, უკვე ჩასმული იყო შესასრულებლად. ასე, რომ ეს არ ნიშნავს, რომ ის პროექტი იმიტომ წამოვიდა, თანხა იყო მორჩენილი. იგი ისედაც უნდა წამოსულიყო. ეს ძალიან ცუდი ტენდენციაა, ცენტრალური ბიუჯეტი, ფაქტობრივად, თანხას გართმევს.''

საკითხი სხდომაზე, რა თქმა უნდა, მიღებული იქნა, მას მხოლოდ ოპოზიცია შეეწინააღმდეგა.

სამტრედიის მაცნე



# სოფელი მადლიერია

**ნინო ნანიტაშვილი**

***3 ივნისს ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ შპს "სოკარ ჯორჯია გაზის" დირექტორთან, აზერ მამმადოვთან ერთად სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ტოლებსა და ჭოგნარში გაზგამანაწილებელი ქსელები საზეიმოდ გახსნა. აღნიშნული სამუშაოები სულ ცოტა ხნის წინ დასრულდა.***

***"ახალი გაზსადენის საშუალებით ქსელზე მიერთებას 316 პოტენციური აბონენტი შეძლებს. მათ შორის სოფელ ტოლებში 153, ხოლო სოფელ ჭოგნარში _ 163 ოჯახი, რომელთა ქსელზე მიერთება 1 ივნისს დაიწყო". _ განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას "სოკარ ჯორჯია გაზის" დირექტორმა აზერ მამმადოვმა.***

***სამტრედიის მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტების გაზიფიცირებისთვის სამუშაოებს შპს "საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია" აწარმოებდა.***

2015 წლის ბოლოს შპს "სოკარ ჯორჯია გაზმა" სახელმწიფოსაგან შეიძინა 31 დასახლებულ პუნქტში, მათ შორის სოფლებში ჭოგნარსა და ტოლებში არსებული გაზგამანაწილებელი ქსელები, რომელთა საერთო სიგრძე 195 კილომეტრია და 3500 პოტენციურ აბონენტს აძლევს გაზიფიცირების საშუალებას. მათგან 1502 ოჯახი უკვე "სოკარ ჯორჯია გაზის" აბონენტია. 2009 წლიდან დღემდე კომპანიის მიერ ქვეყნის მასშტაბით აშენებულია 5366 კილომეტრიანი გაზგამანაწილებელი ქსელი და გაზიფიცირებულია 209 136 აბონენტი.

2016 წლის ბოლომდე აშენდება არანაკლებ 1600 კილომეტრიანი გაზგამანაწილებელი ქსელი და გაზიფიცირებული იქნება 40 000-ზე მეტი პოტენციური აბონენტი. მთლიანად, წლის ბოლომდე აშენდება, დაახლოებით, 7000 კილომეტრიანი გაზგამანაწილებელი ქსელი და გაზიფიცირებული იქნება 249 000 პოტენციური აბონენტი.

ტოლებსა და ჭოგნარში კახა კალაძეს ადგილობრივი მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის პირველი პირები დახვდნენ. ტოლებში დიმიტრი ჭკუასელისა და ჭოგნარში როლანდ ჯინჭველაშვილის ოჯახებში ენერგეტიკის მინისტრმა საკუთარი ხელით აანთო გაზი და სოფლებს დიდი შენაძენი დაულოცა. ბოლოს ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

"დღეს ვიმყოფებით სამტრედიის რაიონის სოფელ ტოლებში, სადაც დასრულდა გაზის მილების სამუშაოები. დაახლოებით 15 აბონენტს ექნება საშუალება, ისარგებლოს ბუნებრივი აირით. ეს პროექტი ჩვენ შარშან დავიწყეთ და ფაქტობრივად, უკვე დასასრულს უახლოვდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს სოფლები, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, მაღალ რელიეფზე მდებარეობს და შესაბამისად, ზამთარში შედარებით აქ უფრო ცივა. მოსახლეობას ექნება საშუალება, ბუნებრივი აირი გამოიყენოს, ისარგებლოს, რაც ზოგადად არ წარმოადგენს ფუფუნებას, თუმცა, სამწუხაროდ, ადამიანებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ აქამდე ამ სიკეთით ესარგებლათ".

კახა კალაძემ იმ დღეს ასევე კომენტარი გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, იან კელის განცხადებაზე, რაც საზოგადოებამ არაერთგვაროვნად შეაფასა: "ამერიკის შეერთებული შტატები არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, მეგობარი ქვეყანა. ჩვენ ვაფასებთ იმ თანადგომას, მხარდაჭერას, რასაც ეს ქვეყანა ყველა მნიშვნელოვან მომენტში იჩენს ჩვენი ხალხის მიმართ. რაც შეეხება იან კელის, გუშინ არასწორი ინტერპრეტაციები მოჰყვა მის მიერ გაკეთებულ განცხადებას. საუბარი იყო ორ მიმართულებაზე. ერთი, ბატონმა კელიმ დადებითად შეაფასა კორცხელის ინციდენტში მიმდინარე საგამოძიებო უწყებების მიერ განხორციელებული ქმედებები. მეორე ეხებოდა "რუსთავი 2"-ის თემას, სადაც არასწორი ინტეპრეტაცია მოხდა გარკვეული მედიასაშუალებების მხრიდან. უბრალოდ, მინდა, ციტირება მოვახდინო მის მიერ გაკეთებული განცხადებისა. პირველი: მან ხაზი გაუსვა და შეეხო სასამართლოს დამოუკიდებლობის და პროცესის ობიექტურობის მნიშვნელობას. ელჩის განცხადება, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისთვის მიუღებელია ნებისმიერი საქციელი, რომელიც ჩრდილს მიაყენებს სასამართლო მოხელეს, ან მთელ ინსტიტუტს. ასევე მან ზოგადი განცხადებებისას აღნიშნა, ამერიკაში საარჩევნო წელს ოპოზიციური მედიის მფლობელის და მენეჯმენტის შეცვლა იქნებოდა მიუღებელი. იმედი გამოთქვა, რომ ეს არც საქართველოშია მისაღები. ასევე მინდა, განვაცხადო, რომ რამდენიმე დღის წინ პრემიერ-მინისტრმა გააკეთა განცხადება "რუსთავი 2"-თან დაკავშირებულ მიმდინარე მოვლენებზე. იგივე განცხადება იყო _ ჩვენთვის კარგი არ არის, საარჩევნო წელს თუ მოხდება მფლობელის, ან მენეჯმენტის ცვლილება კონკრეტულ ტელევიზიაში. თუმცა აქვე მინდა, აღვნიშნო ის, რომ ეს არის სასამართლოს თემა. არც პრემიერს, არც ვიცე-პრემიერს, არც ერთ მინისტრს არა აქვს უფლება, ჩაერიოს სასამართლოს ქმედებებში და სასამართლოს გადაწყვეტილებებში. ჩვენ ვაშენებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელიც იქნება დაფუძნებული დემოკრატიულ ინსტიტუტებზე და სასამართლო ქვეყანაში იქნება დამოუკიდებელი".

ვიცე-პრემიერი მთავრობაში იმ დღეს, რამდენიმე საათის წინ განხორციელებულ საკადრო პოლიტიკასაც გამოეხმაურა. კახა კალაძემ წარმატებები უსურვა განათლებისა და მეცნიერების ახალ მინისტრს, ალექსანდრე ჯეჯელავას: " მე მას პირადად არ ვიცნობ, თუმცა, ძალიან ბევრი მსმენია მის შესახებ. მთელი გულით მინდა, წარმატებები ვუსურვო ამ თანამდებობაზე, ძალიან საპასუხისმგებლო მიმართულება ჩაიბარა".

კახა კალაძემ საჭიროდ არ მიიჩნია, კომენტარი გაეკეთებინა კორცხელის ინციდენტში მონაწილე სუბიექტებისთვის სასამართლოს მიერ გირაოს შეფარდების თაობაზე: "სასამართლომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. მე თავს შევიკავებდი კომენტარის გაკეთებისგან, თუმცა, პროცესი მიმდინარეობს და დაველოდოთ საბოლოო გადაწყვეტილებას.

"სამტრედიის მაცნემ" 3 ივნისს ჭკუასელების ოჯახის დიასახლისის განწყობა მოისმინა: "დიდი ხანია, გაზი არ გვქონია ახლა მადლობელი ვარ, ოჯახში დიდი სიხარული განვიცადეთ. მადლობა ყველას, განსაკუთრებით ბატონ კახის, მთელ მის გუნდს. მარტო ჩვენ კი არ ვართ კმაყოფილები, მთელი სოფელი ბედნიერია ამ შენაძენით".







## საქართველოს პარლამენტის არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს გაიმართება

პარლამენტის არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით 8 ივნისს ცესკოში საინფორმაციო ბრიფინგი გაიმართა, სადაც ცესკოს სპიკერმა, ანა მიქელაძემ მედიას საარჩევნო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდა. 8 ივნისიდან ოფიციალურად დაიწყო საარჩევნო კამპანია და ამოქმედდა საარჩევნო კანონმდებლობის ის მუხლი, რომელიც განმარტავს საარჩევნო კამპანიის წარმოების წესებს და რეგულაციებს.



ბრიფინგზე ითქვა, რომ 8 ივნისიდან პარტიას, რომელსაც პარლამენტში ჰყავს წარმომადგენელი, პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, შეუძლია, განცხადებით მიმართოს ცესკოს თავმჯდომარეს არა უგვიანეს 12 აგვისტოსი. ხოლო, პარტიებს, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, შესაძლებლობა ჰქონდათ, არჩევნების თარიღის დანიშვნამდეც მიემართათ ცესკოს თავმჯდომარისთვის. მათთვის განცხადებით მიმართვის ბოლო ვადა 1 აგვისტოა.

8 ივნისიდან საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა, რეგისტრაციისათვის მიმართონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

8 ივნისისთვის ცესკოს თავმჯდომარეს რეგისტრაციის მიზნით უკვე მიმართა 28 პოლიტიკურმა პარტიამ, მათგან 5-მა უკვე გაიარა რეგისტრაცია.

1 მაისის მდგომარეობით ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებულია 3473316 ამომრჩეველი. საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის არჩევნების ორგანიზებას ამ ეტაპზე შექმნილ 3634 საარჩევნო უბანზე.

ცესკოში გამართულ სხდომაზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარლამენტის არჩევნებისთვის დაამტკიცა საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკი, ასევე არჩევნებთან დაკავშირებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები;

მათ შორის: დამტკიცდა ძირითადი და დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელი ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის აღმწერი ინსტრუქცია; დადგინდა ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შესაბამის მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმოსადგენად საჭირო მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობა; გამოცხადდა საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების შესარჩევი კონკურსები.

9 ივნისს "სამტრედიის მაცნე" სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიაში მივიდა და საარჩევნო კამპანიის გამოცხადებასთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა თავმჯდომარეს, ნანა იმნაძეს: "ჩვენს საოლქო საარჩევნო კომისიას საქართველოს პარლამენტის 2016 წლის არჩევნებისთვის მიენიჭა 55-ე მაჟორიტარული საოლქო საარჩევნო კომისიის ნუმერაცია.

რაც შეეხება ჩვენს მზადყოფნას, 7 ივნისს ჩავატარეთ სხდომა, სადაც დავამტკიცეთ საზღვრები, რომელიც შედგება 50 საუბნო საარჩევნო კომისიისგან. ველოდებით ოლქში დროებითი კომისიების წევრების შემოსვლას".

***ნინო ნანიტაშვილი***

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში "სამტრედიის მაცნე" იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

# ორი ერის დამაკავშირებელი “თეთრი ხიდი”

**ქეთევან ჭელიძე**

**2600 წელი ლოცვითა და იმ იმედით იღვიძებდნენ, რომ ერთხელაც აღთქმულ წმინდა მიწაზე დაბრუნდებოდნენ.**

**ეს დღეც დადგა და ქართველმა ებრაელებმაც იერუსალიმს მიაშურეს. ამბად ჰყვებოდნენ ხრიოკ, გაუდაბურებულ ადგილზე და ენანებოდათ ქართველებს იქ მიმავალი თავიანთი სიყრმის მეგობრები, მეზობლები, ნაცნობ-უცნობნი. იყო დამშვიდობება, ცრემლი და კვლავ შეხვედრის ამაო სურვილი.**

**ეს მაშინ. ახლა გზაც ხსნილია და იმ საოცნებო ქვეყნისკენ ქართველებსაც არანაკლებ მიუწევთ გული. 26 საუკუნოვანი მეგობრობაც ახალ ეტაპზე გადავიდა და აქეთ და იქით დარჩენილი ორი ერი ერთმანეთთან დამაკავშირებელ ხიდს დებს.**



ნოსტალგია იძალებს და “პატარა იერუშალაიმად” წოდებულ დაბა კულაშსაც არცთუ იშვიათად სტუმრობენ მონატრებული თავისი შვილები _ ქართველი ებრაელები _ საქართველოს სიყვარულს თაობებს რომ გადასცემენ და ქართულ ენას, როგორც მშობლიურს, ისე ასწავლიან. ეს იმიტომ, რომ “ვისაც წარსული ავიწყდება, იმას მომავალიც არ აქვს. ჩვენ, ყველანი საქართველოდან ვართ და ქართული კულტურა უნდა შევინარჩუნოთ. უნდა ჩავუნერგოთ ჩვენს შვილებს, თაობებიდან თაობებს რომ გადასცენ”. _ გვარწმუნებს მოშე ბოთერაშვილი, ქალაქ აშდოდის ვიცე-მერი, ცოტა ხნის წინ საქართველოში საპატიო სტუმრის რანგში რომ ჩამოვიდა. იგი ახალციხეში უძველესი სინაგოგის დაარსების 275 და განახლების 153 წლისთავს დაესწრო.

სხვა მიზეზებზე რომ არაფერი ვთქვათ, ერთი ყოველთვის აქვს ბატონ მოშეს, კულაშს ყოველწლიურად ეწვიოს. ეს აქ დარჩენილი მამის საფლავია, ფესვებს რომ უმაგრებს შვილს საქართველოში და ამ ქვეყანასაც კიდევ უფრო მშობლიურს ხდის მისთვის.

სულ პატარა იყო, მამა რომ გარდაეცვალა მოშე ბოთერაშვილს. კეთილი ნათესავების დახმარებით დედამ უზრუნველად გაზარდა იგი. ვანო სტურუას სახელობის საშუალო სკოლაში (ახლანდელი ნაბაკევის საჯარო სკოლა) წარჩინებით სწავლობდა. მეცხრე კლასში იყო, 1972 წელს, სხვებთან ერთად მისმა ოჯახმაც რომ დატოვა საქართველო და ისრაელში გადასახლდა. ამბობს, რომ მამა-პაპურ ადგილს დაუბრუნდნენ, თუმცა, “ძნელი იყო უცხო გარემოსთან შეგუება, სკოლაც ისე დავამთავრე, თითქმის ენაც არ ვიცოდი. შემდეგ სიძნელეები გადავლახეთ და ახლა ყველანი კარგად ვცხოვრობთ”.

არც მეორე სამშობლოს ივიწყებენ ქართველი ებრაელები. ურთიერთობები, საუკუნეების მანძილზე რომ არსებობდა ორ ერს შორის, ადვილი შესალევი ვერ იქნა. მათი ყოველი ჩამოსვლა საქართველოში ზეიმად იქცევა ხოლმე. ასე იყო იმ დღესაც, კულაში მოუთმენლად ელოდა მოშე ბოთერაშვილის გამოჩენას.

შეხვედრა მუზეუმში შედგა. შეხვედრის ორგანიზატორი კი დაბის მაჟორიტარი დეპუტატი იმედა გოგავა იყო. სტუმარს აღმოსავლეთმცოდნე, პროფესორი, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე, ინგა ზამბახიძე, ცნობილი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი და სხვები ახლდნენ. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ბატონმა მოშემ ჩანაწერი გააკეთა შთაბეჭდილებების წიგნში. ამაღელვებელი იყო ყოფილი მოსწავლისა და მასწავლებლის შეხვედრა. რუსუდან ლეკვეიშვილმა-შენგელიამ გაიხსენა, როგორი თვალცრემლიანები ემშვიდობებოდნენ პედაგოგები ისრაელში მიმავალ მოსწავლეებს. შეაქო, ყოველივე კარგი, რაც ქართულია, გაითავისეთ და შორს გაიტანეთო.

კულაშმა იმ დღეს გული გადაუშალა მოშე ბოთერაშვილს. ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები ცეკვითა და სიმღერით იწონებდნენ თავს. შეხვედრა რამდენიმე სიმღერით ევროპის ფესტივალის ლაურეატმა ჯგუფმა “ლადიმაც” გაალამაზა. ემოციურად დატვირთული სტუმარი სიტყვებს ვერ პოულობდა მადლიერების გამოსახატავად.

“უჩვეულო არაფერი ხდება, _ მიმართა იმედა გოგავამ შეკრებილებს, _ იმიტომ, რომ ერთი ქართველი კაცი, ამ კუთხის, ამ სოფლის მკვიდრი გვესტუმრა; ჩვენებური, რომელიც აქ დაიბადა, აქ აიდგა ფეხი და როცა წავიდა, აქაური მადლიც თან გაიყოლა. იგი დიდი ქართველია. ვისურვებდი, კულაშიდან წასული ებრაელები ხშირად ჩამოდიოდნენ ჩვენთან. მათ ძალიან დიდი რესურსი გააჩნიათ, რომ თავიანთ კუთხეს ხელი დაამჩნიონ. იმედი მაქვს, ეს ასეც იქნება. ერთად ყოფნაში არის ჩვენი ძალა. ისე კარგად, ძმურად და მეგობრულად ვიცხოვროთ, როგორც უწინ”.

თბილი სიტყვები იმედა გოგავამ არც თავისი მეგობრის, ინგა ზამბახიძის მიმართ დაიშურა. საჩხერეში, სადაც ქალბატონი ინგა დაიბადა, 2500 ებრაელი ცხოვრობდა, ამიტომ თვლის, რომ ამ ადამიანებთან ურთიერთობა სისხლში აქვს გამჯდარი. მისი სადისერტაციო თემაც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი იყო.

ქალბატონი ინგა აღფრთოვანებით ჰყვება კაცზე, რომელიც არა მარტო თავის ქალაქში, სადაც რაოდენობრივად ყველაზე მეტი, 42 ათასი ქართველი ებრაელი ცხოვრობს, არამედ მთელ ქვეყანაში წინამძღოლობს მათ. ისრაელში გამოსცემს ქართულ ენაზე ჟურნალს “აშდოდელები”, შექმნა ქართული კულტურის ცენტრი, საქართველოდან ჩაჰყავს ცნობილი ქართველი მომღერლები და მართავს კონცერტებს, ზრუნავს ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენასა და მათი შესაძლებლობების რეალიზებაზე. კიდევ უამრავ საქმიანობას ეწევა ბატონი მოშე ქართველი და ებრაელი ხალხის მეგობრობის დასტურად.

“კაცი _ ბულდოზერი” _ ასე ეძახიან მოშე ბოთერაშვილს ისრაელში, რადგან მის შესაძლებლობებს ზღვარი არა აქვს. ქუთათურებმა კი “თეთრი ხიდი” უწოდეს იმის გამო, რასაც ის ებრაელებისა და ქართველებისთვის აკეთებს. ქუთაისის უნივერსიტეტში ბატონ მოშეს საპატიო პროფესორის წოდება მიანიჭეს, სუხიშვილის სასწავლო და დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტებში _ საპატიო დოქტორის, ასევე, ევროპის სასწავლო უნივერსიტეტში _ საპატიო პროფესორის. და კიდევ ერთ სიურპრიზს ვუმზადებთო, ქალბატონმა ინგამ, თბილისში დაბრუნების შემდეგ ჰოლანდიურ-გერმანული უნივერსიტეტი და ამერიკული აკადემია მას ერთობლივად მიანიჭებს საპატიო დოქტორის წოდებას.

“დღეს ბატონი მოშე ყველაზე ბედნიერი კაცია მთელ დედამიწაზე, ისეთი სიყვარულით დახვდით. ერთ სტატიაში წავიკითხე, ცრემლები გათავხედდნენო, მართლაც, ძნელია დღეს სიხარულის ცრემლების შეკავება. _ უთხრა კულაშლებს ინგა ზამბახიძემ. _ მინდა დაიმახსოვროთ, რამდენი შეუძლია ადამიანს, თუ ის მოინდომებს, თუ ის ნიჭიერია და უყვარს თავისი სამშობლო. ბატონი მოშე არის ყველაზე დიდი ქართველი ისრაელში, ყველაზე დიდი პოლიტიკოსი და დიდი თანამდებობის ქართველი ებრაელი.

თუ თქვენ ოდესმე უცხოეთში მოგინდებათ ცხოვრება, ისე უნდა გიყვარდეთ საქართველო, როგორც მას უყვარს კულაში. ამბობს ხოლმე საქართველოზე, არსად ასეთი ქვეყანა არ არისო.

ამ შეხვედრის ორგანიზატორი, სულისჩამდგმელი არის იმედა გოგავა. ის არის ჩემი მეგობარი, ერთგული, ძალიან ნიჭიერი ადამიანი. ნიჭიერ ადამიანს კი შეუძლია, მთები დაძრას. მინდა, მასთან ერთად თქვენ ბევრი კარგი საქმე გააკეთოთ კულაშისთვის. მადლობა თბილი მიღებისთვის”.

ბატონი მიხეილ ჭიაურელი უკვე 20 წელია, ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის შესახებ ფილმებს იღებს. ამბობს, რომ ჩვენმა ებრაელებმა ისრაელში ქართული სული წაიღეს. ეს გამოიხატება სიმღერებში, ცეკვებში, პოეზიაში, პროზაში, ბეჭდვურ საქმეში. ამდენი ქართული ტელევიზია, რადიო... ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ქართველ ებრაელებს უყვართ თავიანთი ტრადიციები, კულტურა. ჩემი ბოლო ფილმი იყო ქორეოგრაფ თამაზ ციციაშვილზე. იგი სუხიშვილებში სოლოს ცეკვავდა, მან ისრაელში შექმნა ქართული ნაციონალური ბალეტი. ამ სახელის უფლების გამოყენება მას თენგიზ სუხიშვილმა მისცა. გააკეთა არაჩვეულებრივი ანსამბლი, რომელიც ყოველ წელს ევროპაში მთავარ პრიზს, გრან-პრის იღებს. ანსამბლში საქართველოდან წასული ებრაელი ბავშვები ცეკვავენ.

თემა ძალიან ბევრია, არა მარტო ხელოვნებაში, არამედ მეცნიერებაშიც ბევრია გამორჩეული ადამიანი. მაგალითად: იცხაკ დავიდი (დავითაშვილი), დოდო ჩიკვაშვილი, ასევე არიან: დათო ბაზოვი, თამარ კეზერაშვილი, კომპოზიტორი სოსო ბარდანაშვილი და უამრავი ჩვენი თანამემამულეა იქ წარმატებული”.

მოშე ბოთერაშვილს მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილე ლიზა კრავეიშვილიც მიესალმა. თანაცხოვრებისა და მეგობრობის დიდი გზა გავიარეთო, თქვა. ბევრი ქართველი ებრაელიც მოიგონა. იმედი დაიტოვა, რომ მომავალში ქართველი ებრაელები სასიკეთო საქმეებს გააკეთებენ საქართველოსთვის.

ღონისძიების დასრულების შემდეგ ბატონმა მოშემ მამის საფლავი მოინახულა. მანამდე კი კულაშლებს “კულაშელობის” შემოღების სურვილი გაანდო. რომ ამ დღეს აქ შეიკრიბებიან დაბიდან ისრაელში წასული ებრაელები და თავიანთ ადგილის დედას სიყვარულისთვის სიყვარულითვე ხარკს გადაუხდიან.

“გარკვეული წლებია, რაც ბატონ მოშესთან ურთიერთობა მაქვს. _ გვეუბნება იმედა გოგავა. _ ვცდილობ, სხვა ებრაელებთან ერთად დავაარსოთ ორგანიზაცია, რომელიც აქედან წასულ ყველა ადამიანს გააერთიანებს. ამ ორგანიზაციის ეგიდით გვინდა შევქმნათ კულაშის განვითარების ფონდი, რომელიც დადებს პროექტებს. ვგეგმავთ, ყოველწლიურად თითო პროექტი განვახორციელოთ. უმთავრესი მისია კი, იმ ადამიანებთან ხიდის გადებაა, ვისთვისაც ეს ადგილი ერთი ჩვეულებრივი ადგილი არ არის. ეს არის მათი სამშობლო, მათი კუთხე და ყოველთვის მოუწევთ აქეთ გული. ბატონი მოშე აპირებს ამ ფონდის ხელმძღვანელობას. საერთო ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ კულაშისთვის ახალი, უფრო მნიშვნელოვანი ფუნქციის მინიჭებას. საბოლოოდ რა გამოვა პროგნოზირება ძნელია, თუმცა სტარტი იმედისმომცემია. ამ ეტაპზე ეს არა ფინანსურად მომგებიანი, მაგრამ ინფრასტრუქტურული და ურბანული გრძელვადიანი პროექტები იქნება დაბისთვის”.











სამტრედიის მაცნე



# ვისთან ვისაუბროთ პოლიტიკურ ნიშნებზე?

თეა ბაბუნაშვილი

სოციალური სამსახურის მიმდინარე წლის ბიუჯეტში ცვლილება მედიკამენტების თანხის გაცემის პირობებს უკავშირდება. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული ამ საკითხის პროექტი გამოიტანა. უფრო დაწვრილებით კი დაინტერესებულთა კითხვებს თავად სოციალური სამსახურის უფროსმა ლევან ახობაძემ და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, გოგი ლექავამ უპასუხეს. მუხლობრივი გადანაცვლება მედიკამენტების შესაძენად გამოყოფილი თანხების გაზრდას გულისხმობს. როგორც გოგი ლექავა აცხადებს, ზოგადად, მედიკამენტების შესაძენად დახმარება იმდენად ხელსაყრელი და მისაღები აღმოჩნდა მოსახლეობისთვის, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული თანხა კარგა ხანია ამოიწურა. მთხოვნელთა რიცხვი დიდი იყო. ამიტომ გადაწყდა, სხვა მუხლების ხარჯზე მისი დაფინანსების გაზრდა. თავიდან ეს მუხლი 32 ათასი ლარით ფინანსდებოდა. მას ერთხელ 20 ათასი დაემატა. იმ სხდომაზე კიდევ 10 ათასის დამატების გადაწყვეტილება მიიღეს. მიუხედავად ამისა, მედიკამენტების შესაძენი თანხის გაცემა დროებით შეჩერებულია. ამის მიზეზი საგარანტიო წერილების საფუძველზე აფთიაქებში დაგროვილი ვალებია. ამჯერად დამატებული 10 ათასი ლარი ადგილობრივმა გამგეობამ მათ გადასაფარად გამოიყენა. როგორც გოგი ლექავა აცხადებს, იმედია, კიდევ გამოინახება საშუალება სოციალური პროგრამით გათვალისწინებული მუხლის დასაფინანსებლად. ამჯერად შეზღუდული შესაძლებლობების პირების ფინანსურ დახმარებას სამი, ხოლო სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 18 ათასი ლარი ჩამოაკლდა.

გარდა მედიკამენტებისა, კიდევ ერთი მუხლის დაფინანსებას დასჭირდა შევსება. იგი ერთჯერად დახმარებას გულისხმობს განსაკუთრებულ შემთხვევებში. განსაკუთრებულში კატასტროფების, უბედური შემთხვევების, ტრაგედიის შედეგად დაზარალებულები, სილატაკის რისკის ქვეშ მყოფები იგულისხმებიან. აგრეთვე ისინი, ვისაც საცხოვრებელი სახლი ენგრევა, ან რომ არ დაენგრეს მცირე სარემონტო სამუშაოებს საჭიროებენ. ასეთ შემთხვევებში დახმარება, შემთხვევის სიმძიმის მიხედვით 100-დან 500 ლარამდე გაიცემა. და აქვე – გოგი ლექავა ციფრებით ასაბუთებს, რომ "იმ მუხლებს, რომლებსაც ამ ეტაპზე თანხები ჩამოვაკელით, ამ კლებით ხელი არ ეშლებათ, საჭიროების შემთხვევაში მათი კლასიფიკაციის მიხედვით ბენეფიციარები დააკმაყოფილონ. თუ წლის ბოლომდე მთხოვნელი იქნება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის 45 ათასი, სოციალურად დაუცველთათვის ერთჯერად ფინანსურ დახმარებად 254 ათასი ლარი ისევ არის დარჩენილი."

სწორედ ამ საკითხის განხილვის შემდეგ გააკეთა საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრმა მამუკა ბიბილეიშვილმა განცხადება, რომელმაც სხდომა აახმაურა. სოციალური დახმარებების პოლიტიკური ნიშნით გაცემაში დაადანაშაულა მან სოციალური სამსახური და ადგილობრივი ხელისუფლება. გოგი ლექავამ მამუკა ბიბილეიშვილს იმ პიროვნების გვარის დასახელება მოსთხოვა, ვინც ამგვარი "რეპრესიების" მსხვერპლი გახდა. მამუკა ბიბილეიშვილმა გვარი დაასახელა და იგი დიდი ჯიხაიშის მკვიდრი, იანეთის საბავშვო ბაღის თანამშრომელი ხათუნა გვენეტაძე აღმოჩნდა. "იცით, რომ იგი ჩვენი მხარდამჭერია და ხელოვნურად უქმნით ამ პრობლემებს." სანამ სოციალური კომისიის თავმჯდომარე განმარტებას გააკეთებდა, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძე მას შეეპასუხა, რომ აღნიშნული პიროვნება "მასზე დაკისრებულ მოვალეობებს კარგად არ ასრულებს სამსახურშიც კი. იგი კბილებით გაგვყავს იმიტომ, რომ მასეთი რამე არ თქვათ. სანახევროდ არ დადის, მიაყრის ბავშვებს და მიდის. ის ბავშვები არ არიან არავის შვილები?" ამ საკითხზე კომენტარი იანეთის დეპუტატმა პაატა კოხრეიძემაც გააკეთა, რომელიც მამუკა ბიბილეიშვილმა უშუალოდ დაადანაშაულა ამ პიროვნებით დაინტერესებაში პოლიტიკური შეხედულების გამო. პაატა კოხრეიძემ უარყო მის მიმართ პოლიტიკური ინტერესი და მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე შენიშვნით შემოიფარგლა: "პოლიტიკა არაფერ შუაშია. ხათუნა გვენეტაძე ხშირად აცდენს სამსახურს. მე ხშირად ვარ საბავშვო ბაღში, საკუთარი ხელით ვაკეთებ თუ რამე არის იქ გასაკეთებელი და ჩარევა გახდება საჭირო. ამიტომ უკეთ ვიცი, რაც ხდება. გასაგებია ამ პიროვნების მდგომარეობა, მას შვილი ჰყავს ავად, მაგრამ როცა ადამიანი დიდი ჯიხაიშიდან იანეთში დადის სამსახურში, რაღაცით გამორჩეული უნდა იყოს, თორემ იანეთში ცოტაა საბავშვო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილებისა და განათლების მქონე პირები, უმუშევრები რომ არიან?" პაატა კოხრეიძისა და მანანა სირბილაძის კომენტარების პარალელურად ახმაურებულ ოპოზიციას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა მიმართა: "დამაცადეთ ლაპარაკი, აღარ ხართ მთავრობაში და მათქმევინეთ ახლა სიტყვა, როცა იყავით, არ მალაპარაკებდით. თავი ახლაც ხელისუფლებაში გგონიათ და თვლით, რომ ყველაფერში ჩარევის უფლებაც გაქვთ. უხერხულია, დღევანდელი ოპოზიცია ხელისუფლებას მიკერძოებაზე შენიშვნას აძლევდეს. თქვენი აქტივისტი ან მხარდამჭერი თუ არ იყო ადამიანი, საერთოდ ვერ იმუშავებდა. ახლა ნახეთ, რამდენი თქვენი დროის თანამშრომელია დარჩენილი ამ შენობაში მათ გარდა, ვინც ატესტაცია ვერ გაიარა. რადგან ასე წავიდა საუბარი, ჩემს მეზობელს, მარია კუპრეიშვილს, 30 ლარი არ მისცეს თქვენი გამგებლობის პერიოდში, ბატონო ემზარ, რადგან ჩემი მეზობელი იყო. ეს 2010 წელს მოხდა. ის ქალბატონი მართლა გაჭირვებული რომ იყო, ყველამ იცოდა. ეს იმიტომ ვთქვი, რომ თქვენ არასდროს იღებთ პასუხისმგებლობას იმ საკითხებზე, რაც თქვენს გამგებლობაში არ მომხდარა. ჩვენ კი ამას არ ვაკეთებთ." კობა ძიძიგურს ემზარ შუბლაძე შეეპასუხა: "ვინც მასეთ რამეებს აკეთებდა, მასთან ძალიან კარგად გაქვთ საერთო ენა მონახული." კობა ძიძიგურმა მას შეახსენა, რომ ყოფილ ხელისუფლებასთან საერთოდ კოჰაბიტაციაშია ახლანდელი ხელისუფლება.

რაც შეეხება სოციალური დახმარების გაცემის საკითხს, რომელიც ამგვარ შელაპარაკებამდე გამწვავდა, კომისიის თავმჯდომარე გოგი ლექავამ სხდომაზეც გააკეთა კომენტარი და შემდეგ დაწვრილებით მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ხათუნა გვენეტაძეს 2016 წლის 25 მარტს ერთხელ უკვე აღებული აქვს დახმარება 150 ლარი საგარანტიო წერილის საფუძველზე მედიკამენტების შესაძენად. მეორეჯერ განცხადება 2016 წლის 24 მაისს დაწერა. კომისია თვეში ერთხელ იმართება. მაისში იგი 23 რიცხვში გაიმართა, ამიტომ ვერ განიხილა მაისის თვის კომისიამ მისი განცხადება. განხილვა ივნისში მოხდება. "რაც შეეხება შემოსული განცხადებების პოლიტიკური ნიშნით დაკმაყოფილებას, ეს გამორიცხულია. რაც მე აქ ვმუშაობ, 1126 კაცს აქვს მარტო ჩემთვის მომართული. ყველა მათგანის სახელი და გვარი, მისამართი ჩაწერილი მაქვს. ისე გაცილებით მეტია დახმარება გაცემული სოციალური სამსახურის მიერ. ვერავინ იტყვის, რომ მათ ჰკითხეს რომელი პარტიის წევრია. შემოსული განცხადება ერთი თვის ვადაში უნდა დაკმაყოფილდეს, მაგრამ იმდენად დიდია მთხოვნელთა რიცხვი, რომ ზოგჯერ ერთ თვეში ვერ ვეტევით. თუმცა, ორ თვეს არ გადავცილებივართ. ეს ერთჯერადი დახმარებაა, ესე იგი, წელიწადში ერთხელ. ხშირად მეორედაც მოგვმართავენ ადამიანები და მათ ვერ ვეხმარებით. ერთჯერადი ნიშნავს წელიწადში ერთხელ! აღნიშნულ ქალბატონსაც ერთხელ მიღებული აქვს ეს დახმარება. ჩემთან მოსულს მე ვუთხარი, რადგან საქმე ბავშვს ეხება, განვიხილავთ და თუ საშუალება იქნა, დავაკმაყოფილებთ."

და აქვე ისიც, რომ მამუკა ბიბილეიშვილმა ამ თემაზე საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ ხათუნა გვენეტაძე მაშინ დააკმაყოფილეს, როცა საქმეში გოგი ლექავა ჩაერია.

## პასუხი ოპონენტებს

2014 წლის 14 ივლისამდე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენდა 355,4 ათას ლარს, 683 მოქალაქის (დიალიზის 29 ბენეფიციარის მრავალშვილიანი 80 ოჯახის, ყოველთვიური დახმარების ჩათვლით) დასახმარებლად გაცემული იყო 199471 ლარი, ასევე გაცემული იყო 22 საგარანტიო წერილი. 14 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით დავეხმარეთ 905 მოქალაქეს (დიალიზის 29 ბენეფიციარის მრავალშვილიანი 80 ოჯახის, ყოველთვიური დახმარების გარდა), ამის გარდა გავეცით 67 საგარანტიო წერილი, 2014 წლის ბოლოსთვის ბიუჯეტი გაიზარდა და გახდა 425400 ლარი. 2015 წლის ბიუჯეტი დაიგეგმა 580000 ლარით, რომელიც წლის ბოლოსთვის გაიზარდა 38000 ლარით და გახდა 618000 ლარი. გასულ წელს ჩვენ დავეხმარეთ 2458 მოქალაქეს, ამის გარდა გავეცით 530 საგარანტიო წერილი. 2015 წლის პროგრამა უფრო მრავალფეროვანი გახდა, კერძოდ პირველ და მეორე შვილის შეძენისას მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100000, დავეხმარეთ 100-100 ლარით, მეოთხე შვილის შეძენისას 250 ლარით, მეხუთე და შემდგომი შვილის შეძენისას 400-400 ლარით, ტყუპების შეძენისას, პირველი და მეორეს და მეორე და მესამეს შემთხვევაში თითოეულზე 200-200 ლარით, მესამე და მეოთხეს და შემდგომ _ 400-400 ლარით. 18 წლამდე უდედმამო ბავშვებისათვის დავაწესეთ ყოველთვიური დახმარება 50-50 ლარის ოდენობით, უდედმამო და სოციალურად დაუცველ სტუდენტებზე (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57000) გავეცით 500-500 ლარი, 100 წლის და მეტი ხნის დღეგრძელთათვის 500-500 ლარი, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვებისათვის გავეცით 300-300 ლარი, ასევე დახმარება გავეცით 1-ლი ჯგუფისა და ჩაწოლილ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე 18 წლამდე ასაკის.

მეორე მსოფლიო ომში 25 მონაწილეს, გარდა სახელმწიფოსაგან გაცემული 1000 ლარიანი დახმარებისა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გავეცით 400-400 ლარი და ასევე 100-100 ლარიანი სასაქონლო ფორმით დახმარება. ისე შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 9 მაისისათვის ადგილობრივ ხელისუფლებას, 33 დამსახურებული ომის ვეტერანისათვის გაუწევია დახმარება 100-100 ლარით. რაც შეეხება მოქალაქეებს, რომლებიც არიან გაჭირვებული და ვერც ერთ პროგრამაში ვერ მოხვდნენ, ამისათვის გამგეობაში შექმნილია კომისია, რომელიც გასულ წელს 894 მოქალაქეს დაეხმარა.



გამგეობაში შემოსული განცხადებების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ძირითადად მოქალაქეები ითხოვდნენ დახმარებას მედიკამენტების შესაძენად, ამიტომ გადავწყვიტეთ, აფთიაქებთან წინასწარ შეთანხმებით მოქალაქეებისათვის როგორც სამედიცინო დაწესებულებების შემთხვევაში გაგვეცა საგარანტიო წერილები, დღეის მდგომარეობით უკვე გაცემული გვაქვს მედიკამენტებისათვის 450 და სამედიცინო დაწესებულებაზე 362 საგარანტიო წერილი, ისე ერთ რამეში მართლა ვეთანხმები ჩვენს ოპონენტებს, წინა ხელისუფლების პერიოდში მოქალაქეები მართლა ვერ გამოიყენებდნენ საგარანტიო წერილებს, რადგანაც სამედიცინო დაწესებულებები არ ღებულობდნენ დავალიანების გამო. საგარანტიოების გარდა მიმდინარე წლის 25 მაისის მდგომარეობით უკვე დავეხმარეთ 1330 მოქალაქეს. (სამსახურში 2016 წელს შემოსულია 2200-მდე განცხადება). ოპონენტები ამას იმით ახსნიან, რომ დღეს თითქოს გაჭირვებულთა რაოდენობამ მოიმატა, მათ მინდა ვუთხრა, რომ უფრო მეტი გაჭირვებული იყო მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს, განსხვავება ის არის, რომ ჩვენთან კარი ყველასთვის ღიად არის და შესაძლებლობის ფარგლებში ვეხმარებით. ბოლოს ერთი სტატისტიკა მინდა მოვიყვანო.

2012 წელს სოციალური პროგრამების ბიუჯეტი დაგეგმილი იყო ———201500 ლარი
2013 წელს ————— 241000 ლარი
2014 წელს ————— 227800 ლარი
2015 წელს ————— 580000 ლარი
2016 წელს ————— 700000 ლარი.

დასასრულისათვს მინდა ვთქვა, რომ ეს ბევრი არაფერია (მაგრამ შედარება აუცილებელია, რომ დაინახო განსხვავება), უფრო მეტ ადამიანს სჭირდება დახმარება, მარტო ერთჯერადი დახმარებებით ვერ მოვაგვარებთ სოციალურ მდგომარეობას, სამტრედიაში ბევრია იმ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთა საცხოვრებელი ადგილი დანგრეული აქვთ. გასაკეთებელი მართლა ბევრია, აუცილებელია ეკონომიკის გაძლიერება, სამუშაო ადგილების შექმნა, ამისთვის დღევანდელმა ხელისუფლებამ ბევრი გააკეთა და კიდევ ბევრს გააკეთებს.

ლევან ახობაძე
სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი

# იმპორტს ექსპორტი ჩაანაცვლებს

ლევან გაბეჩავა

***საქართველოსთვის, უძველესი აგრარული ქვეყნისათვის, უდიდესი, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს აგრარული სექტორის განვითარებას. ამდენად, ამ კუთხით, გადადგმული, თუნდაც, მცირე ნაბიჯი მისასალმებელი და იმედისმომცემია.***

***ჰოლანდიური კომპანიების პარტნიორობით სამტრედიაში სხვადასხვა ტიპის სალათის ფურცლების მოყვანა 2015 წლის იანვრიდან დაიწყეს.***

***სათბური, როგორც ცნობილია, სამტრედიაში მდებარეობს და საპარტნიორო ფონდმა მისი გაფართოება მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო.***

ფონდმა პროექტის ფარგლებში სასათბურე მეურნეობა 1,6 ჰექტარზე გააფართოვა.

პროდუქციის საინვესტიციო მოცულობა 4,2 მილიონი ევროა, საპარტნიორო ფონდის თანამონაწილეობა კი 1,4 მილიონ ევროს შეადგენს.

31 მაისს სასათბურე მეურნეობას საქართველოს ვიცე-პრემიერი, ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი დავით საგანელიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის თავკაცები სტუმრობდნენ.

როგორც ვთქვით, მათი სტუმრობის მიზანს სასათბურე მეურნეობის გაფართოება წარმოადგენდა.

''სასათბურე მეურნეობის (შპს ''იმერეთი გრინერი'') გაფართოების მიზანია იმპორტული პროდუქციის ჩანაცვლება ადგილობრივით.

სათბური უახლესი ჰოლანდიური ტექნოლოგიითაა აღჭურვილი, თერმული წყლების საშუალებით მუშაობს, რაც ზრდის კომპანიის ეფექტიანობას''. _ განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ.

სასათბურე მეურნეობა გაფართოების შემდეგ სალათის ფურცლების გარდა გეგმავს სხვადასხვა ბოსტნეულის მოყვანას და წარმადობის 1000 ტონით გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ბაზარზე უკვე იყიდება ბოსტნეული, შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა სამტრედიული ბოსტნეულის საზღვარგარეთ ექსპორტი დაიწყება, რაც ყველაზე მეტად მისასალმებელია, თუ დღეისათვის სათბურში 23 ადამიანია დასაქმებული, გაფართოების დასრულების შემდეგ 50-მდე გაიზრდება მათი რიცხვი.

სასათბურე მეურნეობის გაფართოების, ზოგადად, აგრარული დარგების აღორძინების აუცილებლობაზე, მნიშვნელობაზე ქვეყნისათვის, რეგიონისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის, ხელისუფლების მხრიდან ამ კუთხით განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსის მამუკა კვანტალიანის განცხადებით, უდავოდ კარგი საქმე კეთდება, იგეგმება, წარმოების გაფართოება, რაც სამტრედიისათვის, იმერეთის რეგიონისა და ქვეყნისათვის წინგადადგმული ნაბიჯია. ისიც უნდა ითქვას, რომ მსგავსი ტექნოლოგიებით ეს საწარმო ერთადერთია ამიერკავკასიაში.

მადლობას იმსახურებს როგორც ქართული მხარე, ისე პროექტის ჰოლანდიური პარტნიორი ორგანიზაციები.

_ მოხარული ვარ, დღვენადელი დღე რომ შედგა, სასიამოვნოა, რომ გაფართოვდება ადგილობრივი, ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი პროდუქციის წარმოება, დასაქმდებიან ადამიანები, რაც მათი და მათი ოჯახების წევრების კეთილდღეობაზე აისახება. _ განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნუგზარ ჯამბურიამ.

ამ ეტაპზე ამ პატარა, ძუნწი ინფორმაციით შემოვიფარგლეთ, თუმცა, ვიმედოვნებთ, ვიტოვებთ უფლებას, რომ მალე სამტრედიაში წარმოებული ბოსტნეულის საექსპორტოდ გაგზავნის სასიხარულო ფაქტს ვაუწყებთ მკითხველს, რაც ხელისუფლების მიერ ხალხისადმი დანაპირების შესრულების ნაწილი იქნება, ქვეყნის აგრარული სექტორის შემდგომ განვითარებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას რომ ითვალისწინებს.

დაბოლოს, რაც ვნახეთ, კარგია, რაც მოვისმინეთ იმედის მომცემი...






# ჩემი ინტერესია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ვაწარმოო

ნინო ნანიტაშვილი

მიწა ტერიტორიულად გომშია, იურიდიულად კი ნაბაკევის თემს ეკუთვნის. ასე ყოფილა კომუნისტების დროსაც: მდინარე რიონის გამოღმა, ჭალაში საბოსტნე ფართობს ნაბაკევის მსგავსად მელაურისა და ოფეთის კოლექტივებიც ფლობდნენ. გლეხობა მაშინ ამ ტერიტორიაზე ბოსტნეულს აწარმოებდა, ძირითადად, ხახვს, დაბალი კულტურიდან _ შვრია და იონჯა მოჰყავდათ.

ივნისის დამდგეს შვრიის ყანას ტანი ისე აუყრია, საშუალო სიმაღლის კაცს დამალავს. გზა არ ილევა. ვიწრო შუკას მარჯვნივ და მარცხნივ ფართობები ეკვრის. მასპინძელი გვიხსნის, რომ რიონის ჭალაში 80 პროცენტი მიწის ნაკვეთი დაუმუშავებელია. ამას მეზობელ ფართობზე გვეუბნება, თორემ თავად მე-3 წელია, ერთ მტკაველ მიწასაც არ ტოვებს დაუხნავს.

ნაბაკევის თემის მკვიდრი გომში იჯარით 30 ჰექტარ ფართობს ფლობს. კერძო პირს 1 ჰექტარზე წელიწადში მიწის ქირას 250 ლარს უხდის. ამბობს, ბუნებამ და კაცმა თუ არ უღალატა, მოწეული მოსავლის რეალიზაციის შემდეგ კარგი მოგება დარჩება.

ფართობში იმ დროს მივედით, როცა დაქირავებული მუშახელი მიწიდან სტაფილოს იღებდა. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს, შეიძლება ითქვას, საუკეთესო. იმდენად დიდი მოგვეჩვენა სტაფილო, ვიკითხეთ, პროდუქტს სასუქი ზომაზე მეტი ხომ არ მიეცით-თქო. ბაზარში დიდი სტაფილოს შეძენისას ამ მიზეზით თავს ვიკავებთ-თქო. თამაზ ახობაძემ ჩვენს რეაქციას ურეაქციო პასუხი მოაყოლა: ''ჩემი სტაფილო სასუქიანი არ არის. მისი მოცულობა მიწის სინჯებზე და მიწის სტრუქტურაზეა დამოკიდებული. დააკვირდით, ასეთი ბაზა რომ არ გამეკეთებინა, კვალი რომ არ ამემაღლებინა, სტაფილო ვერ გაიზრდებოდა, იქნებოდა პატარა და მსხვილი. ეს სპეციალური ''კლეტკები'' გამზადებული მაქვს იმისთვის, რომ სტაფილო ზუსტად ასეთი გაიზარდოს. ფართობში 3500 მეტრზე მაქვს სტაფილო დათესილი და დაახლოებით, 20 ტონამდე მოსავალს ველოდები. სულ 150 კილოგრამი ნიტროამოფოსი მაქვს მიცემული, ისიც თოხნის პერიოდში ვუყრიდით ცოტ-ცოტას. სხვაგვარად ბოსტნეულს ვერ აწარმოებ. აზოტი რომ ხახვს მოუყარო, დალპება. ნიტროამოფოსი ბოსტნეულის სასუქია და რაც მთავარია, ბოსტნეული ნებისმიერ ნიადაგზე არ ითესება. სანამ დავთესავდი, 30 ჰექტარზე მიწის ანალიზებში, დაახლოებით, 3900 დოლარია



გადახდილი. წინასწარ ვიცოდი, რა მოსავალი მოდის აქ კარგად, რა რაოდენობის პესტიციდები უნდა მივცე. ჩემი ინტერესია, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი ვაწარმოო. დღეს და ხვალ თუ არა, ზეგ აუცილებლად გაიხსნება საზღვარი და ვიღაც მოაკითხავს ბაზარს, რომლისგანაც არ იყიდის არაფერს. იმიტომ, რომ ჩვენს ბაზრებში, შემოსული პროდუქტები ნიტრატებითაა გაჯერებული. პირადად მე, მირჩევნია 100 ტონა სტაფილოს აღებას, 20 ტონა იყოს და ისიც ეკოლოგიურად სუფთა''.

თამაზ ახობაძეს შარშან ჭალაში დაბალი ჯიშის ლობიო და სიმინდი ჰქონდა დათესილი. მისი თქმით, ლობიომ არ გაუმართლა, სიმინდის მოსავალი კარგი ჰქონდა, თუმცა ხეირი ვერც სიმინდის მარცვალში ნახა: ''18 დეკემბერს აბაშის საშრობი დაიხურა. წავიყვანე ხალხი, წვიმასა და ქარში ტომრებში ჩავყარე და რომ უნდა გამეყიდა 70 თეთრად, იძულებული გავხდი და 40 თეთრად გავყიდე''.

ბატონი თამაზი თვლის, რომ წელს არავისზე არ არის დამოკიდებული. ისეთ პროდუქციას აწარმოებს, რომლის შენახვას საკუთარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფს: ''წელს არანაირად არ ვარ დამოკიდებული სახელმწიფო სტრუქტურაზე. დათესილი მაქვს შვრია, აგვისტო-სექტემბერში გავყიდი. ვიქირავებ კერძო პირისგან საწყობს და სტაფილოს, ხახვს, ლობიოსა და ნესვს იქ დავაბინავებ''.

4 ჰექტარზე სიმინდი, 1 ჰექტარზე კარტოფილი ახობაძეების ფართობში ავ თვალს არ ენახება. მოსავალს ნამდვილად კარგი პირი უჩანს, თუ ბუნებამ არ უმუხთლა. მუშახელსაც არ უჩივის. თამაზ ახობაძეს ეს წლებია ერთი და იგივე ადამიანები ჰყავს დასაქმებული. ისინი სამტრედიიდან დაჰყავს. შრომას 7 საათისთვის იწყებენ, შუადღისას ისვენებენ და საღამოს 8-ის ნახევარზე ხალხს უკან, სახლებში აბრუნებს: ''10 სამტრედიელი მყავს დასაქმებული: 6 ქალი და 4 მამაკაცი. მათი ყოველდღიური გასამრჯელო 25 ლარია. 4 მარტს ხელით დავთესეთ კარტოფილი, მერე მიწის შემოყრაზე იმუშავეს. აპრილში სამი დღე ხახვის გათოხვნით დავკავდით, 10 დღე მაისში იმუშავეს, ივნისში თითქმის ყოველდღიური სამუშაო ექნებათ. თვეში, საშუალოდ, 15 დღეზე მეტია ანაზღაურებადი. ამჟამად სტაფილოს ამოღებას ვაწარმოებთ, 10 დღეში შვრიის რეალიზაციას დავიწყებთ''.

45 წლის თამაზ ახობაძე სოფლის მეურნეობაში მთელი არსებითაა გადართული. პროფესიით ავტოინჟინერი აგრონომიისგან ძალიან შორს იყო. მიუხედავად იმისა, მშრომელი მშობლების შვილს მიწის სიყვარულს და პატივისცემას ბავშვობიდანვე უნერგავდნენ, ყანასა და ბოსტანს სათოფეზე არ ეკარებოდა. ათასნაირ მიზეზს ეძებდა, მშობლებსა და უმცროს ძმას ფართობში სამუშაოდ არ გაჰყოლოდა: ''ისე ვიყავი აგრონომიასთან, როგორც სპილო გეომეტრიასთან, მაგრამ რომ დამჭირდა, ყველაფერი ვისწავლე. დედ-მამისგან პრაქტიკულს გავურბოდი, 6-7 წლის წინ კი ინტერნეტიდან თეორიულად მივიღე ბევრი ინფორმაცია, შემდეგ ვისწავლე, რადაც რომ არ გამომივიდოდა, ისეთ ინტერესში ვევარდებოდი, თავს მოვიკლავდი და მაინც გავაკეთებდი. ყოველი ცდა ცოდნას და გამოცდილებას მიმაღლებს. შარშან ლობიოში წაგება მთლიანად ჩემი ბრალი იყო, მივხვდი, რომ გვიან მომივიდა დათესვა''.



ამბობს, რომ სახელმწიფო დახმარების მაგივრად კონკრეტულ შემთხვევებში მას ხელს უშლის: ''ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოებრივი მიდგომა ძალიან ცუდია. ადგილობრივ წარმოებას ხელს არ უხსნიან. დახმარებაზე ზედმეტია ლაპარაკი. საქართველოში თურქული სტაფილო შემოდის, რომელიც ადგილობრივს ვერც შეედრება. პირადად მე, შემიძლია, ძალიან დიდი რაოდენობით ვაწარმოო. ამ ფართობზე იმდენი სტაფილო მოვიყვანო, დასავლეთ საქართველო მთლიანად მოვამარაგო. პროდუქტის გამტანი არავინ არის. ადგილზე 70 თეთრად შემიძლია, დავუმზადო. ბაზარში კილოგრამის ღირებულება 1 ლარი და 20 თეთრია. ამ წუთებში თბილისელ დისტრიბუტორს ველოდები, უნდა ნახოს პროდუქტი, შეადაროს, თურქული უკეთესია თუ ჩემი, ქართული. მე, როგორც მწარმოებელს, არ მაწყობს დილიდან საღამომდე ბაზარში დავდგე. დრო გამიცდება. დეზერტირების ბაზარში სინჯი გაგზავნილი მაქვს, 17 თებერვალს დათესილი სტაფილოდან 20 ტონა მოსავალს ველოდები. ამ პროდუქტზე მუშაობა ნამდვილად ღირს. ყველას მინდა, ხმა მივაწვდინო: სამტრედიაში, გომში მარტო ჩემი სტაფილოსთვის არავინ ჩამოვა. ჩემნაირი 10 მწარმოებელი რომ იყოს, დასავლეთიდან დისტრიბუტორები სხვაგან არსად წავიდოდნენ. ისინი ძირითადად მარნეულში დადიან, სადაც მასიური წარმოებაა. მარნეულისა და ჩვენს სტაფილოს შორის კი დიდი სხვაობაა. მარნეულის სტაფილოს გარეცხვა აუცილებლად უნდა და შეიძლება, სამ დღეში დალპეს, ჩვენსას გარეცხვა არ უნდა''.

მიუხედავად იმისა, წელს თამაზ ახობაძე თითქმის არავისზეა დამოკიდებული, მომავალში კიდევ უფრო მეტი დამოუკიდებლობა უნდა, რომ ჰქონდეს: ''ერთადერთი რასაც ვერ მივაღწიე, პროგრამაში მინდა მოვხვდე და ჩემი საკუთარი სამაცივრე მეურნეობა გავაკეთო, არ ვიყო ვინმეზე დამოკიდებული, პროდუქტი არ გადავყარო. რამდენჯერაც დავაპირე პროგრამაში მოხვედრა, ათასნაირ ბიუროკრატიულ ბარიერს გადავაწყდი: ვისი ხარო, საიდან მოდიხარო, რა გინდა და ა. შ. მართალია, ჩემთვისაც და ქვეყნისთვისაც სასიკეთო საქმეს ვაკეთებ, ვთვლი, რომ სახელმწიფო არაფერში მეხმარება. რასაც ვაწარმოებ, ყველაფერში თანხა მაქვს გადახდილი. ტექნიკას ვქირაობ შპს ''მექანიზატორიდან'', ჩემი ყოფილი სამსახურიდან. როცა ვმუშაობდი, მაშინაც ყველაფერში თანხას ვიხდიდი, როგორც ჩვეულებრივი, რიგითი გლეხი. დიდ გამარჯვებად ჩავთვლი, თუ შევძლებ პროგრამაში ჩართვას და საკუთარი სამაცივრე მერუნეობის მოწყობას. ამის შემდეგ შევძლებ, გავაფართოვო ბოსტნეულის წარმოება და უფრო მეტი ადამიანი დავასაქმო''.

# "სახლი თანადგომა" საპირველივნისო აქციით

**ნინო ნანიტაშვილი**

2 ივნისს "სახლი თანადგომას" ოფისთან ის ადამიანები შეგროვდნენ, რომლებსაც რამდენიმე დღის წინ შეტყობინება მიუვიდათ, თქვენი შვილების სახელზე ამანათებია გამზადებულიო.

50 წლის ვასილ კაკაბაძე სოფელ ღანირიდან საგანგებოდ ჩამოვიდა. 3 შვილიდან ორი, 12 წლის საბა და 8 წლის მარიამი შეზღუდული შესაძლ-



ებლობების მქონე ჰყავს. სოციალურად დაუცველთა ბაზაში მყოფი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი, მართალია, 900 ლარია, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით "სახლი თანადგომას" ამანათი კაკაბაძეებისთვის შვილების გამოსაკვებად დიდი შეღავათის მიმცემია.

"სამი შვილი მყავს. ორი გოგონა და ერთი ვაჟი. მათგან მხოლოდ ერთია ჯანმრთელი. მართალია, სოციალურ დახმარებებს ვიღებთ, მაგრამ



ჩვენს ოჯახს მაინც ძალიან უჭირს. როცა შემატყობინეს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით პროდუქტებს გჩუქნიანო, ძალიან გამიხარდა. ოჯახი ნამდვილად იგრძნობს შეღავათს".

მსგავსი აქცია პირველი არ არის. ბოლო რამდენიმე წელია, "სახლი თანადგომას" პროგრამის ფარგლებში 18 წლამდე ასაკის უნარშეზღუდულ ბავშვებსა და მრავალშვილიანი ოჯახების მოზარდებს საპირველივნისო ამანათებით უზრუნველყოფს. გამონაკლისი არც 2016 წელი აღმოჩნდა. 45 წლის იზოლდა ზაკალიშვილი მე-7 წელია, ამ პროგრამით სარგებლობს. მისი გოგონა, დარეჯან დვალიშვილი 7 წლისაა და დაბადებიდან ეპილეფსიას ებრძვის. ოჯახთან ერთად ხიბლარის ქუჩაზე ცხოვრობს. იზოლდა და მისი მეუღლეც უმუშევრები არიან, სოციალურად დაუცველების დახმარებას დედამთილის, ასევე ეპილეფსიით დაავადებული 86 წლის ქალბატონის პენსია ემატება და თვიდან თვემდე თავი წვალებით გააქვთ. იზოლდა ზაკალაშვილის თქმით, "სახლი თანადგომას" საჩუქარი მისი 4 სულიანი ოჯახისათვის გარკვეული შვებაა.

"სამტრედიის მაცნემ" სახლი "თანადგომას" დირექტორთან, მზევინარ ბოხუასთან კომენტარი ჩაწერა: "ჩვენი დღევანდელი პროგრამა ბავშვთა დაცვის დღეს უკავშირდება. ყველა ბავშვს მინდა, მივულოცო ეს დღე, ვუსურვო ჯანმრთელობა და წარმატებები.

რაც შეეხება ჩვენს პროგრამას, გუშინ და დღეს ვცემთ ამანათებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის, ასევე, მრავალშვილიანი მშობლებისათვის (5-თი და მეტი შვილი 18 წლამდე). ამანათში სხვადასხვა დასახელების პროდუქტები შედის: პურის ფქვილი, ზეთი, მაკარონი, კანფეტი, ბრინჯი, ლიმონათი, შაქარი, ერთ ბავშვზე 50 ლარის ღირებულების. ამანათების გაცემა დავიწყეთ 1 ივნისს და დღეს უკვე 98 ამანათიდან გაცემულია თითქმის 95%. რადგან პროდუქტთან გვქონდა საქმე, სწრაფი ტემპით ვიმუშავეთ, დავუკავშირდით ყველას, ვისი სიებიც კი გადმოგვცა სოციალურმა სააგენტომ. გადმოცემულ მისამართებზე ბევრი არ მოიძებნა, მაგრამ სხვადასხვა წყაროებით შევძელით მათი პოვნა. თითოეული წამლების პირადობის ნომერი ფიქსირდება, ასევე, ტელეფონიც. როგორც ჩვენთან განყოფილებაში, ასევე უფასო სასადილოშიც თავიანთი ხელმოწერებით ზოგის ამანათი პირადად თანამშრომლებს მივატანინეთ ბინაზე, სოფლის წარმომადგენლებიც დაგვეხმარნენ. ჯერჯერობით, პრობლემა არ შეგვქმნია ამანათების რაოდენობაზე. თუ მოულოდნელად ვინმე დაგვემატა, რასაც შარშანაც ჰქონდა ადგილი, სხვადასხვა მუხლობრივი ცვლილებებით დამატებით გაცემას შევძლებთ."

17 წლის თენგიზ ხაჟალია ჰიდროცეფალითაა დაავადებული. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ ამანათს ისიც ტრადიციულად ღებულობდა. ოჯახმა იცის, რომ ამ პროგრამით ერთი წლის შემდეგ იგი სრულწლოვანი გახდება. მის სახელზე გამზადებული პროდუქტების წასაღებად წერეთლის ქუჩიდან 70 წლის ბაბუა, ისიც თენგიზ ხაჟალია მოვიდა და "სახლი თანადგომას" მიმართ სამადლობელი სიტყვები არც მას დაუშურებია.

მართალია, კეთილშობილურ საქმეს ემსახურებიან, თუმცა ემოციის გარეშე ძნელია დარჩე იმ ადამიანებთან შეხვედრისა და გასაუბრებისას, რომლებსაც სახლებში უნარშეზღუდული შვილები ჰყავთ მოსავლელი. იმ დღეს "სახლი თანადგომას" დირექტორი მზევინარ ბოხუა და მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი მაქსიმალურად ცდილობდნენ, თანადგომა, თანაგრძნობა და პატივისცემა გამოეხატათ ბენეფიციართა ახლობლებისთვის, რომლებსაც პროდუქტებს გადასცემდნენ და ყველა მათგანს ჯანმრთელობას უსურვებდნენ.

განსხვავებული ემოცია მოჰყვა ბებიის, 52 წლის ნინო ხომერიკის ოფისში შემოსვლას, რომელმაც ბედნიერი სახით განაცხადა, მრავალშვილიანების ამანათზე ვარ მოსულიო. ნინო ხომერიკი თამარის და სამტრედიელებისთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი მოძღვრის, დეკანოზ ათანასეს სიდედრია. წყვილს 7 შვილი ჰყავს: დათო, საბა, ნიკოლოზი, გიორგი, ელისაბედი, სოფიო და ლუკა, "სიხარულით გამოვეშურე საჩუქრების წასაღებად. ნამდვილად ყველა ოჯახისთვის შეღავათია. პროდუქტი შეიძლება ერთ დღეში დავამთავროთ, იქნებ, ერთი კვირაც ვიკმაროთ". _ იუმორით გვითხრა ნინო ხომერიკმა.

ლიზა კრავეიშვილი, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე: "დღეს ამანათები ორ კატეგორიაზე გაიცემა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებსა და მრავალშვილიანებზე, რომლებსაც ჯერ 18 წელი არა აქვთ შესრულებული. 17 მრავალშვილიანი ოჯახი გვყავს რაიონში, 85 _ უნარშეზღუდული. ასეთი პატარა მუნიციპალიტეტისთვის ძალიან დიდი ციფრია, ამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პატარა რომ გვყოლება. ჩვენ დღეს ყველა მათგანს გავესაუბრეთ. მათი მდგომარეობა გამოვიკითხეთ. გულდამძიმებულები ვართ ყოველივე ამით, მაგრამ სასიხარულოა, როცა მრავალშვილიანებს ვხვდებით და საჩუქრებს ვუკეთებთ. რა თქმა უნდა, დიდი არ არის ეს ამანათი, მაგრამ მინდა, მეტი შესაძლებლობები მოგვეცეს, რომ დავეხმაროთ ჩვენს მოსახლეობას და შევუმსუბუქოთ ის პირობები, რომელშიც იმყოფებიან."



# 1 ივნისი სამტრედიაში

ცხელი ზაფხული დადგა.

1 ივნისს ქრისტიანული სამყარო ნინოობას აღნიშნავს.

წმინდა ნინოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქრისტიანთა შემეცნებაში.

ხალხმრავლობა იყო ამ დღეს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში.

სადღესასწაულო წირვა დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე) შეასრულა თანამწირველ მღვდელ შიოსთან (ჭაფოძე) ერთად.

წირვის დასრულების შემდეგ დეკანოზმა ანტონმა მრევლს ქადაგებით მიმართა, ხაზი გაუსვა წმინდა ნინოს მისიონერულ ღვაწლს საქართველოსა და ქართველების წინაშე, საერთოდ, ქრისტიანულ სამყაროში. დეკანოზმა ყველა ნინოს, მრევლს, სრულიად საქართველოს დღესასწაული მიულოცა და კეთილდღეობა, რწმენაში გაძლიერება უსურვა მათ.

სულგანაბული ისმენდა მრევლი დეკანოზ ანტონის ქადაგებას, რომლის დასრულების შემდეგაც ტაძარში შეკრებილთაგან რამდენიმეს კომენტარი ვთხოვეთ ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით.

_ სამტრედიაში თბილისიდან ჩამოვედი, სენაკელი ვარ, კარგია, ქალაქის ცენტრში მშვენიერი ტაძარი გქონიათ, ნინოობას გილოცავთ, მრავალს დაესწარით. _ გვითხრა **გიორგი ბზიავამ**.

_ ვწუხვარ, ტაძარში ხშირად რომ ვერ დავდივარ, მაპატიებს, ალბათ, უფალი. ნინოობას გილოცავთ, შვილო, თქვენ და სრულიად საქართველოს, ღმერთმა გაამთლიანოს, გააძლიეროს ჩვენი ქვეყანა! _ ასე მოგვილოცა ნინოობა 77 წლის **ნათელა ლეჟავამ**.

მნიშვნელოვანია ეს დღე ყოველი ქრისტიანისათვის, ნინოობას გილოცავთ, სიხარული, ბედნიერება მინდა ვუსურვო თითოეულ ქართულ ოჯახს, სრულიად საქართველოს, უფალმა ინებოს ჩვენი ქვეყნის აღორძინება და გამთლიანება! _ ნინოობა ამ სიტყვებით მოგვილოცა **ბატონმა თემურ პირველმა**, რომელიც ტაძარში მეუღლესთან, **ქალბატონ ალბინასთან** ერთად იმყოფებოდა.

გულწრფელ მილოცვებს ქალბატონი ალბინაც შეუერთდა და დასძინა, როცა მამა ანტონის ქადაგებას ვისმენ, სულიერად ვმშვიდდები, შემიძლია საათობით ვუსმინო მასო.

სამტრედიის წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში წირვა დასრულდა.

მრავალს დაესწარით, ღმერთმა დაგლოცოთ! _ დაემშვიდობა მრევლს დეკანოზი ანტონი.

წმინდა ნინოს მადლი შეეწიოს სრულიად საქართველოს!

*ლევან გაბეჩავა*



## მადლობა

რესპუბლიკის ქუჩის № 2 ბინაში მცხოვრები პენსიონერები მადლობას უცხადებენ "ლიბერთი ბანკის" თანამშრომელს, თამარ ბელთაძეს გულისხმიერებისა და პროფესიონალიზმისათვის.

*პენსიონერთა სახელით*
*ნათელა დევიძე*

# არჩევნები სკოლებში

საქართველოს საჯარო სკოლებში 10 ივნისს თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოს _ სამეურვეო საბჭოს, არჩევნები გაიმართა. ცნობისათვის, სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს, ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტსა და შინაგანაწესს, ითანხმებს სასკოლო სასწავლო გეგმას. საბჭოს წევრები არიან სკოლის მასწავლებლები, მშობლები და საშუალო საფეხურის ერთი მოსწავლე. ამდენად, სამეურვეო საბჭოს არჩევნების ჩატარება საჯარო სკოლებში უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.



სამტრედიის მე-3 საჯარო სკოლაში საარჩევნო უბანი 10 ივნისს ზუსტად 10 საათზე გაიხსნა.

ლანა ფოფხაძე, კომისიის თავმჯდომარე, მშობელი: "არჩევნები დაიწყო თავის დროზე და მშვიდ გარემოში. მე-3 საჯარო სკოლის საარჩევნო უბანზე, შეიძლება ითქვას, ამ დროისთვის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა აქტივობა მაღალია. მოდიან მშობლები, ფარული კენჭისყრით აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, ხაზავენ მათთვის სასურველ კანდიდატებს, იციან დღევანდელი დღის მნიშვნელობა. რაიმე გაურკვევლობას, ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. დღის ოთხ საათამდე დანარჩენებსაც აქვთ საშუალება, მოვიდნენ მე-3 საჯარო სკოლის საარჩევნო უბანზე და მონაწილეობა მიიღონ სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევნებში."

"სამტრედიის მაცნემ" ნინო მაკალათია იმ დროს ჩაწერა, როცა მე-3 საჯარო სკოლის პირველი და მეორე საფეხურის მოსწავლეების, ანი და ნუკრი მეფარიშვილების დედას თავისი მოქალაქეობრივი პოზიცია უკვე დაეფიქსირებინა: "დღეს ვირჩევთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ჩვენი შვილების სკოლის ბედი უნდა გადაწყვიტონ. კარგად მაქვს შეგნებული, დღევანდელმა არჩევანმა მე-3 საჯარო სკოლის მომავალზე დიდი როლი უნდა ითამაშოს."

***ნინო ნანიტაშვილი***

# მწვანე გზით გევლოთ, ახალგაზრდებო!

ქვეყნის მასშტაბით ამ დღეებში ბოლო ზარი დაირეკა მეთორმეტეკლასელებისათვის.

საჯარო სკოლებმა დაფრთიანებულ გოგო-ბიჭებს გზა დაულოცეს, მათ ხომ ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი უნდა აშენონ.

საყოველთაო სიდუხჭირის მიუხედავად, თითოეულ კურსდამთავრებულს ასობით ლარი დაუჯდა ბოლო ზარის ცერემონიალი. თითქოს, სკოლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და...

ფეიერვერკი, ამ დღისათვის სპეციალურად მომზადებული ცეკვა-სიმღერა, მართალია, ღონისძიებებს საზეიმო ელფერს სძენდა, თუმცა, ერთმა გარემოებამ ნამდვილად გაგვაოცა.

როგორც შევიტყვეთ, რიგ სკოლებში მოწვეულმა ადამიანებმა დაწერეს კონკრეტული სკოლისათვის ასე ვთქვათ, კურსდამთავრებულებთან გამოსამშვიდობებელი სცენარი.

ჩვენი გაოცება იმან გამოიწვია, რომ ვერ წარმოგვიდგენია სკოლა, სადაც, თუნდაც, ერთი მოსწავლე, ან მასწავლებელი არაა სცენარი, პროგრამა რომ დაიწეროს.

აშკარად თვალშისაცემი იყო ბოლო ზარის ღონისძიებებზე კურსდამთავრებულთაგან ბილწსიტყვაობის ფაქტები, რასაც ნამდვილად ვერ მოვიწონებთ, ვერ მივესალმებით. თუმცა, საზეიმო წუთებში ამის შესახებ "სამტრედიის მაცნემ" დუმილი ამჯობინა შეგნებულად.

ასე თუ ისე, ბოლო ზარი რომელმაც 2015-2016 სასწავლო წლის დასრულება გვაუწყა, დაირეკა.

ასობით ახალგაზრდა გავიდა ბობოქარი ცხოვრების ფართო გზაზე.

წარმატებებს ვუსურვებთ კურსდამთავრებულებს, მათზე მზრუნველ პედაგოგებს, მშობლებს.

მწვანე გზით გევლოთ, ახალგაზრდებო!

***ლევან გაბეჩავა***

# მაჟორზე!

**თეა ბაბუნაშვილი**

**ასე მოკლედ და კონკრეტულად იმიტომ, რომ დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში გამართული ყველა კონცერტის პათოსი მაჟორულია თავისი მუსიკალური დატვირთვის და პროფესიონალიზმის გამო. ყოველ შემთხვევაში, სამტრედიაში, აქაურობა უპირველესი ადგილია, სადაც ჭეშმარიტი ხელოვნების ზიარება და "დაგემოვნება", კულტურული შიმშილის მოკვლა შეიძლება. პირადი და არა მხოლოდ პირადი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა, ხშირად მას შემდეგ ხვდებიან მოსწავლეები, ამ მუსიკალურ კედლებში გატარებული შვიდი წელიწადი თუ პროფესიონალიზმს არა, მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულ მუსიკალურ გემოვნებას მაინც რომ უტოვებთ აქაურობის სახსოვრად. ამჯერადაც, მრავალთაგან კიდევ ერთი თაობა გააცილა სამუსიკო, ახლა უკვე სახელოვნებო, სკოლამ.**

და აუცილებლად აღნიშვნის ღირსი _ უცხოური სიმღერებით აღსავსე ქართული კონცერტ-კონკურსები პოლიფონიურობით, სიმღერით განთქმულ საქართველოში ბევრს, არა მხოლოდ მუსიკის მცოდნეებს, აღიზიანებთ. ერთი პატარა ქალაქის, დიდი მუსიკალური ტრადიციების მქონე სამუსიკო სკოლაში დაამტკიცეს, რომ ქართულად სიმღერა გაცილებით უფრო ეხერხება მომავალ თაობას, ოღონდ ამას ჭეშმარიტ მუსიკალურ განათლებასთან ერთად ხმისა და სმენის შესაძლებლობები, ნიჭი სჭირდება! ეს გაცილებით რთულია. აქ, სამტრედიაში კი იმას მღერიან, რაც რთულია, მაგრამ გამართული და გემოვნებიანი, რაც სულში ზის და სისხლში ყივის.

სულ ახლახან იყო და ჟურნალისტური მეხსიერების დაძაბვა არ გამხდარა საჭირო, მწარედ გაგხსენებოდა, ბაროკოს სტილის კონცერტზე სამტრედიაში ჩამოსული თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის ხელმძღვანელის შეკითხვა გაგხსენებოდა _ სამტრედიაში გაქვთ სამუსიკო სკოლა? პასუხი ნათელი გახლავთ, თუმცა, სამწუხაროდ, კითხვის ავტორმა ეს ვერ ნახა.



პირველი ბგერებიც ჯერ ისევ ჩუმ სცენაზე და ... მერე ახმაურდა, აჟღერდა, ამღერდა როიალი. მერე დაუკრეს და აგვიყოლეს, იმღერეს და აგვამღერეს, იტირეს და აგვატირეს მოსწავლეებმა, ხვალ საკონცერტო დარბაზებს პიანისტებად თუ არა, გემოვნებიან მსმენელებად რომ ესტუმრებიან.

ეს არ გახლდათ კონცერტი მხოლოდ კლასიკური მუსიკის სიმკაცრით. ლირიული გადახვევებითა და სიმღერებით, ფოლკლორისა და კლასიკის სინთეზით გაჯერებული სანახაობა, მართლაც იქცა დღესასწაულად. მისი ორგანიზატორი სკოლის სასწავლო ნაწილი, გამოცდილი პროფესიონალი, ყველასთვის საყვარელი პედაგოგი, იზო რუსაძე გახლდათ. კონცერტის დაწყებამდე გააფრთხილა მსმენელი საღამოს წამყვანმა, რომ ეს იქნებოდა საღამო მაჟორულ ნოტაზე. ასეც გახლდათ და დარბაზიც არ იშურებდა მქუხარე ტაშს, "ბრავო"-სა და "ბის"-ს. და ეს მხოლოდ ფამილარობისთვის, სცენაზე გამომსვლელები ამ ოვაციებს იმსახურებდნენ, მით უმეტეს, რომ დარბაზში ძირითადად პროფესიონალები ისხდნენ.

და კიდევ: სამტრედია კარგად იცნობს ჯგუფ "ლადის". სამუსიკო სკოლაში, მეშვიდე კლასელების გამოსაშვებ საღამოზე, მისი შემადგენლობიდან წამყვან სახეებს, სოლისტებს, ძირითად ბირთვს იხილავდით. და უკვე კითხვაც აღარ რჩება, ვისი დამსახურებაა ამ ჯგუფის დამოკიდებულება ზოგადად ხელოვნების მიმართ, ახალგაზრდების პროფესიული ზრდა და საერთოდ, მათი მუსიკალური მიღწევები მენეჯერული მიდგომების გარდა!

შავ-თეთრი კლავიშები როიალისა, რომელიც არაერთხელ აჟღერებულა ამ დარბაზში საკონცერტოდ, ისევ ბგერებად იღვრებოდნენ ოვაციებად დაღვრილ დარბაზში. სიტყვებით აქაც გამოხატეს თავიანთი განცდები საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა, გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილმა, კულტურის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, პედაგოგმა მაყვალა ვაშაკიძემ. სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა კი, როგორც მოსალოდნელი იყო, სიტყვებს სიმღერა არჩიეს. ისინი საკუთარი მოსწავლეების დახვეწილი რეპერტუარის წილ, ქართული ლირიული სიმღერით მოეფერნენ მათ. სკოლის დირექტორი ირმა შანიძე მადლობას არა მარტო საკუთარ პედაგოგებს უხდიდა, აღსაზრდელების წარმატებისთვის აღზრდილებსაც ემადლიერებოდა, გაწეული ამაგის და შრომის არდაკარგვისა და ნიჭიერებით ათვისებისათვის.

ქეთი ბარდაკოვი, რამაზ შენგელია, თამთა თევზაძე, მარიამ ტორონჯაძე, ანრი მანჯგალაძე, ბექა ხუჭუა, ჯუნა წიკლაური, თებროლე და კესარია ივანიაძეები, ლიზი ხუჭუა, ნიკა გრინევსკი, მაია კონდრაშოვა, მარიამ ლორია, ტორონჯაძე ლიზი, საბა ჩაჩუა ამიერიდან სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულები გახლავტ. არაერთი თბილი სიტყვა უძღვნეს მათ თავიანთ პედაგოგებს. კლასიკური ნაწარმოებების გარდა ლირიული და საგუნდო სიმღერებიც შეასრულეს იზო მასწავლებლის დირიჟორობით. აკომპანიმენტს პედაგოგები ????? უკეთებდნენ გამომსვლელებს. შესრულდა ამ სკოლის პედაგოგისა და კომპოზიტორის, ნონა ჭახნაკიას რამდენიმე სიმღერა.

საუკუნის ტოლი სამუსიკო სასწავლებელი საუკუნოვანი სახელოვანი ტრადიციების გასაგრძელებლად მალე ისევ შეკრებს მსმენელს საკონცერტო დარბაზში. ოვაციებიც დამსახურებული იქნება, ეს რა, თქმა უნდა, მაგრამ აქვე ერთი, სამტრედიელი მსმენელის სახელით გვინდა ვთხოვოთ სკოლის პედკოლექტივს, აღადგინონ პედაგოგთა კონცერტების ტრადიცია, რაც კიდევ ერთი წამალი იქნება კულტურული შიმშილის მოსაკლავად.

# მეექვსესკოლელი ქეთი ადეიშვილი _ შემოქმედებითი კონფერენციის გამარჯვებული

**ნათია ნაცვლიშვილი**

***ქეთი ადეიშვილი მე-6 საჯარო სკოლის მეთერთმეტეკლასელია. სულ ახლახან მოსწავლეთა 70-ე შემოქმედებით კონფერენციაში მისმა ნაშრომმა "მთის ტრადიცია და სამართალი" გაიმარჯვა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა. თემის ხელმძღვანელი ამავე სკოლის ისტორიის პედაგოგი ნინო ჭვალაძეა. წარმატებული მოსწავლე რედაქციაში გვეწვია და თემის შესახებ გვესაუბრა:***



"სოფელ ყუმურიდან ვარ, მთა ბავშვობიდან მხიბლავდა, ჩემი თემა საქართველოს მთაში, ძირითადად, სვანეთსა და ფშავ-ხევსურეთში არსებულ მკაცრ ადათ-წესებს შეეხება: წაწლობის ცნება სულ სხვაგვარად მესმოდა, თემაზე მუშაობის პროცესში ბევრი რამ სხვაგვარად აღვიქვი და დავინახე. ბევრი რამ მიუღებელიც აღმოჩნდა. ხევსურულ ტრადიციებზე მუშაობისას ძალიან დამეხმარა ვაჟა-ფშაველას პოემები, აკაკი გელოვანის მოთხრობები "თეთნულდი" და "საბედისწერო სადღეგრძელო", ასევე წიგნი "ტრადიცია და თანამედროვეობა". თემა დატვირთული მაქვს ილუსტრაციებით. კრიტიკული თემების წერა უფრო მიყვარს, მაგრამ საქართველოს მთის სილამაზე მინდოდა წარმომეჩინა, მთა მისი საოცარი ტრადიციებით, ამ ტრადიციებმა შექმნეს საქართველოს ისტორია, არსებობს სხვა კარგი ტრადიციებიც: სტუმარ-მასპინძლობა, ფოლკლორი, ჩაცმულობა, მუსიკა... რომელთა მსგავსი არცერთ ერს არ აქვს. ეს აღაფრთოვანებს ჩვენთან სტუმრად მყოფ უცხოელებს. მთა ინახავს საქართველოს ყველაზე დიდ საიდუმლოს, თუ ქვეყნის შეცნობა გინდა, მთიდან უნდა დაიწყო მისი განცობა. ქეთის თემა ჯერ სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის კომისიამ განიხილა, რამდენიმე ნაშრომი დედაქალაქში გაიგზავნა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეთნოგრაფიის სექციაში. დაჯილდოვება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა, სადაც საქართველოს სხვადახვა კუთხის მკვიდრი მოსწავლეები იყვნენ.



ქეთიმ გასულ წელსაც მიიღო მონაწილეობა მოსწავლეთა შემოქმედებით კონფერენციაში, თემა გასულ წელს კატინის ტრაგედიას შეეხებოდა. ნაშრომმა მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ქეთი სამომავლო გეგმებზეც გვესაუბრება. მას დიპლომატობა აქვს გადაწყვეტილი. "თამამი და სარისკო საქმეა პოლიტიკა, მაგრამ ძალიან მინდა, ქვეყნის აღმშენებლობაში წვლილი შევიტანო. _ გვეუბნება ჩვენი რესპონდენტი.

_ "ეს ძალიან საინტერესო თემა იყო. ცხადია, არსებობს დრომოჭმულ, თანამედროვე ტრადიციებთან შეუსაბამო ძველი წეს-ჩვეულებები, ეს პრობლემა განხილვის საგნად ვაქციეთ. მოხარული ვართ, რომ ჩვენი სკოლის მოსწავლეების ნაშრომმა მოწონება დაიმსახურა. ვუსურვებ წარმატებებს ქეთის!" _ გვითხრა პედაგოგმა ნინო ჭვალაძემ.

## როგორ მოვემზადოთ ფსიქოლოგიურად გამოცდებისთვის?

# “მნიშვნელოვანია, რომ გამოცდებისათვის მზადებისას პოზიტიური მოლოდინი არსებობდეს”



***ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. ფსიქოლოგიურად როგორ მოვემზადოთ გამოცდებისათვის? ნებისმიერი გამოცდა, იქნება ეს გამოსაშვები თუ მისაღები, გამოსაცდელისათვის სტრესულ სიტუაციას წარმოადგენს. ალბათ, საინტერესოა, როგორ მოვემზადოთ ფსიქოლოგიურად გამოცდებისათვის, როგორ ვაკონტროლოთ საკუთარი ემოციები და დავძლიოთ სტრესი. რა უნდა გაითვალისწინოთ წინასაგამოცდოდ, როგორი მოლოდინით და განწყობით უნდა მიხვიდეთ გამოცდაზე და რა შემთხვევაშია წარმატება გარანტირებული?***

***გვესაუბრება ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ფილოსოფიური აკადემიის აკადემიკოსი, ადამიანის რესურსების განვითარების ფონდის დამფუძნებელი ნოდარ სარჯველაძე.***

– ბატონო ნოდარ, როგორ მოვემზადოთ ფსიქოლოგიურად გამოცდებისთვის?

– ეს კარგი შეკითხვაა იმ თვალსაზრისით, რომ გარდა საგნობრივი მომზადებისა, იმავდროულად საჭიროა ფსიქოლოგიური მომზადებაც, რომელიც საგნობრივი მომზადების კვალდაკვალ მიდის. სამწუხაროდ, ამის კულტურა ჩვენთან არ არის. სკოლებში მოსწავლეებს არ ასწავლიან საკუთარი ემოციების მართვას. მათ შორის, სტრესის მართვას. არადა, ეს ძალიან საჭიროა, რამდენადაც ტვინის შემეცნებით და ემოციურ ფუნქციებს შორის, როგორიცაა აზროვნება, ყურადღება, მეხსიერება, რაც გამოცდების დროს აქტუალიზირდება. ეს ცენტრალური ფუნქციებია. ადამიანი ავტომატი არ არის. ბუნებრივია, ემოციები ერთვება, ნეგატიურ ემოციებს კი შეუძლია, გამოიწვიოს ჩავარდნა. ნეგატიური ემოციებია: შფოთვა, დაძაბულობა, წარუმატებლობის შიში და ა. შ. ეს ყველაფერი გამოცდის წინა დღეებში, ასე ვთქვათ, “აყაჩაღებს” ადამიანს და ძალებს ართმევს. განსაკუთრებული წვლილი წარუმატებლობაში, ნეგატიურ პროცესებში ფსიქოლოგიურ დისტრესს აქვს. სტრესი კარგი რამ არის, რადგან ამ დროს მობილიზებული ხარ, მაგრამ დისტრესს თან ახლავს ნეგატიური განცდები. დისტრესი სტრესული სიტუაციაა, ოღონდ უარყოფითი ნიშნით. ფსიქოლოგიურად უძლურს გხდის, ფარ-ხმალს დაგაყრევინებს.

ზოგადად, სტრესი ორგანიზმის მობილიზაციის სინდრომია, დისტრესი – დემობილიზაციის, ჩავარდნის. დისტრესის საფუძველი ხშირად საგამოცდო სიტუაციებში არის ე. წ. მარცხის შიში. ადამიანები, რომლებსაც მარცხის შიში აქვთ საგამოცდო თუ სხვა სიტუაციაში, ამ მდგომარეობაში იმიტომ კი არ არიან, რომ წარმატებას მიაღწიონ, არამედ იმისთვის, რომ მარცხი არ შეემთხვეთ. ისინი წინასწარ ელავენ მოსალოდნელ მარცხზე.

ტოლსტოის ერთი ასეთი მოთხრობა აქვს: ბავშვებს ეუბნებიან, შეეცადეთ, რომ თეთრი კურდღელი არ შეგხვდეთ და მასზე არ იფიქროთო. რაც მეტს ლოცულობენ ბავშვები, მით უფრო ხშირად ფიქრობენ და ხვდებიან თეთრ კურდღელს. თავიდანვე თუ ამოიჩემებ, რომ რაღაც მარცხი მოგივა, ასეც მოხდება. როგორც წესი, შიშს ახდენის ტენდენცია აქვს. ადამიანი თავისი მოლოდინების გამართლებას ახდენს. მარცხის შიშის უკან მოლოდინი დგას. თუ მარცხს ელოდები, მოგივა კიდეც. ჩვენ ჩვენი მოლოდინები მოგვდის.

**– გამოდის, რომ ბავშვი ფსიქოლოგიურად უნდა მოემზადოს წარმატებისთვის?**

– უდავოდ. ორი მოტივაციაა დაკავშირებული წარმატებასთან: ერთი – წარუმატებლობის შიში და მეორე, წარმატების სურვილი. ეს სურვილი უნდა გაძლიერდეს. ბავშვისთვის ნებისმიერი ამაღელვებელი სიტუაცია არის ე. წ. სტრესორი. მისთვის ეს იქნება გამოწვევა და არა მარცხის სიმბოლო. მარცხის შიში არამარტო იმ ბავშვებს აქვთ, რომლებიც მომზადებულები არ არიან, არამედ მათ, ვინც მომზადებულია, თანაც, შეიძლება ამ უკანასკნელებს ბევრად მძაფრი ჰქონდეთ ეს შეგრძნება. ვინც სათანადოდ მომზადებული არ არის, მას ჩავარდნის შიშიც ნაკლებად აქვს. ხოლო ვინც სათანადოდ მომზადებულია, ყველანაირად შეეცდება მომზადების დონის რეალიზაციას. მარცხის შიშმა შეიძლება ზიანი მიაყენოს მას, მაგრამ ბოლომდე ვერ “გაანადგურებს”. ცხადია, საგნობრივ მომზადებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ისინი მარცხის შიშით სიტუაციას უძლებენ, გაძლებაზე არიან. ვინც წარმატების სურვილით მოქმედებს, ის გაძლებაზე კი არა, დაძლევაზეა. სურს, დაძლიოს და კიდევ უფრო წინ წავიდეს. ასეთი ადამიანი კრეატიულია, თავისი აზრებისა და ცოდნის გამოვლენაშიც თამამია. ბავშვი, რომელიც მომზადებულია, მაგრამ შიში აქვს, მას სითამამე აკლდება. თვითდაზღვევაზეა ორიენტირებული; ვაიმე, რაიმე არასწორად არ ვთქვა და ა. შ. ასეთ დროს არათუ თავის ცოდნას ვერ წარმოაჩენს, არამედ შეიძლება ჩავარდეს კიდეც. რისიც ეშინია, შეიძლება სწორედ ის აუხდეს. მარცხის შიში უფრო ადვილად მოერევა ბავშვს, როცა სათანადოდ მომზადებული არაა. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების აღზრდას იმ სულისკვეთებით, რომ წარმატებას მიაღწიონ და არა მარცხი აირიდონ. ვინც კარგად არის მომზადებული და წარმატების სურვილი აქვს, ის პროცესზე ორიენტირებულია, რადგან მას უყურებს როგორც თვითგამოვლენის კარგ საშუალებას. უხარია, რომ რთული კითხვა დაუსვეს, რადგან კარგად უპასუხებს. დადებითი ემოციების კულტივირების უნარი ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენთან ნეგატიური ემოციების კულტივირება ხდება. დაწყებული ტელევიზიით, რომელიც დღე და ღამე ნეგატივს აფრქვევს, დამთავრებული ყოველდღიური ცხოვრებით. ადამიანები ერთმანეთს ცუდ ამბავს ისე მიახლიან, თითქოს გაახარესო. გაჭირვებაზე ენთუზიაზმით ლაპარაკობენ. ნაცვლად იმისა, რომ გაუხარდეთ სასიხარულო. ამ დროს ბევრი რამაა სასიხარულო, თუნდაც ის, რომ დღევანდელი დღე გათენდა, ცხოვრობ ამ ქვეყანაზე. ყველაფერი უკავშირდება მოლოდინებს. როგორც ფიზიკაში არსებობს მიზიდულობის კანონი, ასევე, ფსიქოლოგიაში არსებობს თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველების კანონი. როცა შენ გაქვს მოლოდინი, მოლოდინში ნაწინასწარმეტყველებია რაღაცის მოსალოდნელობა. ამ მოლოდინს თვითაღსრულების ტენდენცია აქვს.

მნიშვნელოვანია, რომ მოზარდებში გამოცდებისთვის მზადებისას პოზიტიური მოლოდინი არსებობდეს. ამისთვის მათ უნდა ისწავლონ ვიზუალიზაცია. კინოს კადრებივით წარმოიდგინონ ის ადგილი, სადაც სხედან გამოცდაზე, როგორ ართმევენ თავს რთულ ამოცანას და გამოცდიდან როგორი გახარებულები გამოდიან. ეს კადრები საკუთარ ტვინში ბევრჯერ უნდა დაინახონ, ეს ვირტუალური ფილმია. ამას აკეთებენ დიდი ადამიანები, დიდი ბიზნესმენები. მაგალითად, ნაპოლეონმა წინასწარ განსაზღვრა თავისი ცხოვრება, როცა რომის პაპმა გვირგვინი დაახურა, წაართვა და თვითონ დაიხურა თავზე. ნაპოლეონი თავხედი ან პოლიტიკურად უვიცი კი არ იყო, არამედ ამით აჩვენა, რომ ეს გვირგვინი დიდი ხანია, რაც უკვე ახურავს. ბევრჯერ წარმოდგენილ სცენარში მას უკვე სხვისი დახმარება აღარ სჭირდებოდა.

დადებითი განწყობის შემუშავება ძალიან მნიშვნელოვანია სტრესის დასაძლევად. მნიშვნელოვან როლს მშობლებიც ასრულებენ. შექებისას მტკიცდება განცდა, რომ რაც უფრო უკეთესს გავაკეთებთ, მეტად შეგვაქებენ და პირიქით, რაც უფრო უარესს გავაკეთებთ, მეტად დავისჯებით – მეტი შიში გვექნება. გააჩნია, როგორ გარემოში იზრდება ბავშვი.

**– არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც სტრესს არ განიცდიან?**

– ცხადია, ასეთი ადამიანები არ არსებობენ. არიან შედარებით უდარდელები. ბუნებრივია, ისეთებიც არიან, რომლებიც გამოცდაზე ჰარიჰარალოთი შედიან. თუ გამოვა, გამოვა თუ არადა, არ გამოვა. თავისებურად, ისინიც ღელავენ, თუმცა, მცირეოდენი დოზით. სამაგიეროდ, მათი “სულერთია” დამოკიდებულების გამო, მათ სტიმული არ გააჩნიათ, რომ რთული ამოცანა ამოხსნან. შედარებით მარტივ ამოცანებს გაართმევენ თავს, მაგრამ რთულს – ვერა. მათ, ასეთ ვთქვათ, “საწვავი” აკლიათ, რომელმაც ძრავი უნდა დაქოქოს.

**– როგორია სტრესის სიმპტომები?**

– სტრესი დაძაბულობაა. თუმცა, ეს დაძაბულობა შეიძლება დადებითი ან დისტრესი იყოს. დისერტაციის დაცვის დროს ყველა ნერვიულობს. თუმცა, ზოგიერთს ამ პროცესის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება აქვს, რადგან ფიქრობს: ისეთ იდეას გავაჟღერებ, რომ გაიგებენ რა მაგარი ვარ. ზოგიერთი კი ფიქრობს: ერთი თავიდან მოვიცილო და შეკითხვებს ვუპასუხო. პოზიტიური განწყობის მქონეს სტიმული აქვს. ზოგადად, წარმატებული ხალხი გაუმაძღარია. მიღწეული წარმატების დროს ახალ წარმატებას გეგმავენ. ვისაც მარცხის, წარუმატებლობის შიში აქვს, ცდილობს რამენაირად სიტუაცია აიცილოს თავისი სირთულეებითურთ, მომავლის პერსპექტივა არ აინტერესებთ.

**– წინასაგამოცდო სტრესულ მდგომარეობას გარშემომყოფნიც განიცდიან: მშობლები, ბებია-ბაბუები. როგორ უნდა მოიქცეს გარემოცვა, რომ ბავშვი კიდევ უფრო არ დაიძაბოს? რა რეკომენდაციებს მისცემთ მშობლებს?**

– ამ შემთხვევაში რჩევა ძნელი მისაცემია, მაინც თავისას გააკეთებენ, დაპროგრამებულები არიან. გამოცდაზე ბავშვი დადებითი განწყობით უნდა გაუშვან. უნდა უთხრან, რომ ოპტიმისტურად იყოს განწყობილი. შეიძლება მარცხიც მოგივიდეს, მაგრამ მოსახდენს შეეგებე ისე, როგორც შენი ცხოვრებისთვის დადებითის მომტანს. მარცხისაგან ოპტიმისტიც არ არის დაზღვეული. შენი პლუსი ისაა, რომ დეპრესიაში არ ჩავარდები და თვითგვემას არ დაიწყებ. ბრძოლაში იგებს ის, ვინც ბრძოლის ჟინით და ოპტიმიზმით არის შემართული. კარგი მებრძოლი ყოველთვის პროცესითაა დაინტერესებული და არა მარტო შედეგით. მშობლებს ერთ დღეში ვერ შეცვლი. ერთადერთი რაც შეუძლიათ, ბავშვი დადებითი ემოციით გაუშვან გამოცდაზე.

**– როგორ ვისწავლოთ საკუთარი ემოციების გაკონტროლება?**

გამოცდაზე ემოცია კი არ უნდა აკონტროლო, არამედ საგამოცდო სიტუაციაში უნდა ჩაერთო; ამოცანის გადაწყვეტაზე იყო ორიენტირებული. საგამოცდო სიტუაცია ამოცანის გადაჭრის პროცესია და არა ემოციის კონტროლის. კონცენტრირების და ფოკუსირების უნარი ყველას არ აქვს. განცდები – როგორ ინერვიულა, რას იტყვიან მასზე, შეყვარებული რას იტყვის და ა. შ. – “კუდებივით” მოსდევს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ გამოცდის დროს საკუთარი თავი გააიგივო საგამოცდო სიტუაციასთან. გამოცდის გარდა სხვა არაფერი უნდა არსებობდეს.

**– მღელვარების დასაცხრომად მიზანშეწონილია თუ არა ბავშვმა დამამშვიდებელი მედიკამენტი მიიღოს?**

– თუ ვალერიანზეა საუბარი, შეიძლება. თუმცა, ტრანკვილიზატორები და ძლიერი დამაწყნარებლები მიზანშეწონილი არ არის. ისინი ტვინს აწყნარებს, ადამიანს კი ადუნებს. მათ მიღებას არ ვურჩევ გამოსაცდელს. ასევე, არ ვურჩევ ასაგზნები საშუალების მიღებას. ყავის მსუბუქი დოზით მიღება შეიძლება. ყავა კოფეინს შეიცავს და ის სტიმულატორია, რომ მოქმედებაში მოვიდეს, აღაგზნოს, მობილიზაცია მოხდეს. ბიოქიმიურად ეს ნივთიერება ამას აკეთებს. თუმცა, მსუბუქი დოზით ყავაც შეიძლება და ჩაიც.

**– ამბობენ, რომ შოკოლადი მეხსიერებას აუმჯობესებს, ეთანხმებით ამ მოსაზრებას? რას ურჩევთ აბიტურიენტებს?**

– თუ ეს სწამთ, ჭამონ. რწმენაც მოლოდინია. რადგან ადამიანს სწამს, რომ შოკოლადი მეხსიერებას ააქტიურებს, მაშინ ჭამონ. რწმენა მნიშვნელოვანია, ვინც რწმენით არის აღჭურვილი, მას დადებითი მოლოდინი აქვს. დადებით მოლოდინს თვითაღსრულებადი წინასწარმეტყველების მოქმედება აქვს. ტვინს სიტუაცია მიყავს იქითკენ, რომ ეს მოლოდინი შესრულდეს.

**– უნდა ვიფიქროთ თუ არა სხვების წარუმატებლობაზე?**

– მთელ ამ საგამოცდო სიტუაციას წინ უსწრებს მოლოდინები, რაც ყალიბდება იმის კვალობაზე, რასაც ისინი წინა საგამოცდო პერიოდში ფიქრობენ. თუკი, ისინი ფიქრობენ მარცხზე, წინასწარი განცდებით ადამიანი ძარცვავს თავის თავს, თავის ძალებს. ეს მოლოდინები ჯანსაღი არ არის და არ მთავრდება კარგად.

**– რამდენად მნიშვნელოვანია ავტოტრეინინგი – “მე წარმატებით ჩავაბარებ გამოცდას”, “უმაღლეს შეფასებას მივიღებ” და ა. შ.?**

– ამას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. ადამიანმა თავის თავს უნდა ჩაუტაროს გამოცდა წინა დღეებში, თვეებში. გამოცდის დღეს ამას მნიშვნელობა არ აქვს. ბევრჯერ უნდა გაიმეოროს, რომ გამოცდაზე 100 ქულას დავაგროვებ. წარჩინებულად ჩავაბარებ. ასეთი მოკლე ფრაზების გამეორება მოლოდინის მობილიზაციას ახდენს. ამას ჰქვია აფირმაცია – მტკიცება. საკუთარ თავს უმტკიცებ, რომ ასე მოხდება. აფირმაციის როლი განუზომელია მკურნალობაში, წარმატების მიღწევაში.

წარმატებული ადამიანები დღეში ორასჯერ უმეორებენ თავის თავს, ტვინი ისე აქვთ დაპროგრამებული, რომ თავის თავს წარმატების როლში ხედავნ, ბილ გეიტსმა ამ უნარით მიაღწია ამდენს: მან დედას მისწერა, ჰარვარდიდან წამოვედი, ჩემზე არ ინერვიულო, მილიარდერი ვხდებიო. რა იცოდა, რომ გახდებოდა? ფარეხი იქირავა და იქ წერდა მაიკროსოფტის პროგრამას.

**– როგორ მოვიქცეთ გამოცდის წინა ღამეს და საჭიროა თუ არა გამოცდის წინა დღეს მეცადინეობა? განვლილი მასალის გამეორება? ბევრი მასწავლებელი მიიჩნევს, რომ წინა დღეს მეცადინეობა არ შეიძლება. თქვენ რას ფიქრობთ?**

– სჯობს დაისვენოს, დაიძინოს, გაერთოს. მაინც ვერაფერს ვერ აითვისებს. გამოცდის დღეს ტვინი სუფთა უნდა იყოს. ღამის გათენება სარისკოა. სჯობს, რაც ისწავლე, იმით გახვიდე. ერთ დღეში ვერაფერს ისწავლი.

**– და ბოლოს, რას ურჩევთ აბიტურიენტებს?**

– ცხოვრებას, როგორც გამოწვევას, ისე შეხედონ. გამოცდასაც ისე მიუდგნენ – როგორც დადებით, სასიხარულო პროცესს. გამოცდაზე შენი თავი უნდა გამოავლინო.

*გადმობეჭდილია ვებგვერდიდან Aris.ge*

# ორფეოსული სხივი

## (ნიკოლოზ ჯანელიძის ბიოგრაფიის გვერდები)

ნიკოლოზ ჯანელიძე, ჯანესის სახელით ცნობილი, იმ საქმეებითაც შემორჩებოდა ქართული ემიგრაციის ისტორიას, ჩვენი კულტურის გასავრცელებლად რასაც იღვაწებდა მნიშვნელოვანი გამოცემებით; და კიდევ იმ სიმბოლური, პოეტური აქტით, მისი ანდერძი რასაც ითხოვდა თვისტომთაგან: მისი ცხედარი დაეფერფლათ და მიმოებნიათ საყვარელი ქალის – ლილი გეგელაშვილის – საფლავზე.

საფლავიდან დაე ქარს წაეღო. ეს კი ნიშნავდა, რომ ოდესმე მის სამშობლოშიც ჩააღწევდა.

წლების წინათ ეს სურვილი, ეს ნატვრა გაეცხადებინა ქქუცა ჩოლოყაშვილს მის სასთუმალთან შეკრებილ ჭირისუფალთათვის: დამფერფლეთ, რადგან ჩემი ნეშტი ვერ შეაღწევს საქართველოში, ფერფლად კი უსათუოდ დავბრუნდებიო.

ნიკოლოზ ჯანელიძეც სამშობლოს მოლანდებაში დალევდა სულს, ფერფლად შინდაბრუნების ნატვრაში, მაგრამ... არც ლილი გეგელაშვილი ეთმობოდა, ანკი მას როგორ დაშორებოდა. და ამიტომაც გამოძებნიდა ამ გზას – არა ლარნაკში ჩადებას ფერფლისა და ქალის საფლავის გვერდით დადგმას თუ შიგ ჩაკირვას, არამედ – ზედ მიმოყრას.

რაღაც შერჩებოდა ლოდს.

რაღაც კი გაიბნეოდა, და აჰყვებოდა ქარს... და აჰყვებოდა და აჰყვებოდა და...

და მარიამ მარჯანიშვილი ამ ეპიზოდს რომ გაეცნობოდა, თავისებურ გვირგვინს სამშობლოს უნახაობით გატანჯული კიდევ ერთი მამულიშვილის ცხოვრებისა, განსაკუთრებით მოიხიბლებოდა და ძალდაუტანებლად წამოაგონდებოდა მსგავსი ეპიზოდი აქაური საზოგადოებრივ-ლიტერატურული სინამდვილიდან: მარიკა ელიავასა და სიმონ ჩიქოვანის სიყვარულის პოეტურ დაგვირგვინებას, რომანტიკულს, სიმბოლურს.

ის, რომ აქ ქალი გადაეყრებოდა ფერფლად მეუღლის სამარეს, იქ კი – კაცი, ცხადია, ნაკლებ მნიშვნელოვანია განზოგადებისას, სიყვარულის საგალობლად რომ წარმოდგება ორივე ეპიზოდი, ხელშესახებ დითირამბად, ერთგვარ პოეტურ ქანდაკად.

თითქოს ლეგენდებში გადასული ჟამის მხილველნი გავმხდარიყავით მარიკა ელიავას გადაწყვეტილებითა და საქციელით, თითქოს დრო შემოტრიალებულიყო და რაფსოდული ხანა გაცოცხლებულიყო ჩვენს თვალწინ.

და საზღვარსაქეთა საქართველო თითქოს ამ ეპიზოდის ფარდსაც ითხოვდა საზღვარსიქითა საქართველოდან, ასეთივე გაელვებას შემოტრიალებული დროისა, ლეგენდაში რომ უნდა გახვეულიყო თვალწინ მომხდარი დრამატული შემთხვევა.

იქნებ ახლა გვგონია ასე, რომ თავის ფარდს ითხოვდა?

მაგრამ რარიგ დაშვენდა ჩვენი ემიგრაციის ცხოვრება, ამ ეპიზოდითაც რომ გაცისკროვნებულა მისი მრუმე, ტკივილებითა და მწუხარებით აღსავსე სინამდვილე, დროდადრო რომანტიკული გაელვებანი რომ ჩაეწნოდა გირლანდად ამ სიმრუმეს.

ნიკოლოზ ჯანელიძე ამ მხრივაც გამოირჩეოდა.

და დასანანი იქნებოდა, რომ მისი სრულყოფილი პორტრეტიც არ წარმოსახულიყო, კოლორიტული, კანთიელი, რაღაცეებით ალიკვალი სხვა მოღვაწე ემიგრანტთა ცხოვრებისა, რაღაცით კი...

და აგერ მარიამ მარჯანიშვილი უნდა გამოსჩენოდა ჭირისუფლად და გულდასმით აეკინძა ნიკოლოზ ჯანელიძის ბიოგრაფია – ის სულიერი პორტრეტი, რათა თვალნათლივი გამხდარიყო მისი ამაღლებული მიზანი; შორიდან გადაგე-



ბოდა სამშობლოს... და სავსე ცხოვრება სულაც რომანტიკული აქციით მოეშარავანდებინა.

სიმონ ჩიქოვანისა და მარიკა ელიავას სიყვარულის ლეგენდა პოეტთა შთამაგონებლადაც გადაიქცეოდა.

და უთუოდ გადაიქცევა პოეტთა შთამაგონებლად ნიკოლოზ ჯანელიძისა და ლილი გეგელაშვილის სიყვარულის ლეგენდაც.

რასაკვირველია, მათ შთაგონებას ძალიან წაადგება ნიკოლოზ ჯანელიძის გარეგანი და სულიერი პორტრეტის ცოდნა, მარიამ მარჯანიშვილის ხელით გამოკვეთილი – სანდოც და შთამბეჭდავიც, კომპოზიციური ქარგა ეპისტოლეთა ირგვლივ რომ მოქსოვილა.

ოდესღაც კანტიკუნტად რომ აღწევდა ცნობები ჩვენს ემიგრანტებზე საზღვარსაქეთა საქართველოში, მერე გურამ შარაძე შემოზიდავდა ერთბაშად დიდძალ მასალას და უხვ საზრდოს მიაწვდიდა მკვლევარებს, თვითონაც რომ ენერგიულად ჩაუჯდებოდა ჩვენს ემიგრანტთა ბიოგრაფიების დაზუსტებასა და გალერეად წარმოსახვას.

და რაც უფრო ივსებოდა გალერეა, მით უფრო თვალნათლივი ხდებოდა, რომ თურმე კიდევ რამდენი რამ იყო გამოსაძიებელი, შესავსები, თავმოსაყრელი, დასაზუსტებელი... განსაზოგადებელი ხომ თავისთავად, ამ მხრივ განსაკუთრებით რომ გამოიჩენდა თავს ორი რუსუდანი – დაუშვილი და ნიშნიანიძე, წიგნს წიგნზე რომ დაალაგებდნენ და სრულფასოვანი ძიებებით ახალ ეტაპზე აიყვანდნენ ქართული ემიგრაციის ცხოვრების კვლევას, მთელს მსოფლიოში განფენილს.

და მათ კვალში კიდევ სხვანიც რომ ჩადგებოდნენ, მარიამ მარჯანიშვილიც გამოიკვეთებოდა, მისი ძიებანი თავს რომ მოიყრიდა მონოგრაფიულ თხზულებაში: ''ქართული ემიგრანტული მწერლობის სამხრეთ ამერიკული პერიოდი'' (''მწიგნობარი'', 2014), რომელშიც ხელშესახებად წარმოსახულ კულტურულ-საზოგადოებრივ ფონზე ოთხი პიროვნების პორტრეტი წარმოჩნდებოდა: აკაკი და თამარ პაპავების, ვიქტორ ნოზაძისა და ლეონიდე ჭეიშვილის.

განსაკუთრებით დაუფასებდნენ, რომ მან შემოიტანა პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში და შესაფერისადაც წარმოსახა დღემდე უცნობი პოეტის, მეცნიერისა და მხატვრის ლეონიდე ჭეიშვილის მოღვაწეობის სამხრეთ ამერიკული ხანა.

ეს გარემოება და საერთოდ მონოგრაფიის რანგი – როგორც უცნობი მასალის გამოვლენის, ისე პროფესიული განსჯა-შეფასების თვალსაზრისით – საშუალებას მისცემდა ავთანდილ ნიკოლეიშვილს, რომ ეს წიგნი ჩაეყენებინა წარმატებულ ნაშრომთა შორის.

ასეთი მეცნიერული თხზულების შექმნა კი თავისთავად ავალებს მკვლევარს ამ მიმართულებით ძიებათა გაგრძელებას, იმ ინტენსიურ გარჯას, რომლის ერთი ნაყოფიც ეს ბიოგრაფიული ნარკვევი უნდა ყოფილიყო: ''ჯანესი – ქართველი ემიგრანტი''.

ხოლო დანარჩენი ნარკვევები თუ პორტრეტები...

ისინი თავთავის ჯერს მოელიან, რადგან მარიამ მარჯანიშვილს თავისი გალერეა აქვს შესავსები... ვინ იცის, კიდევ რამდენი ემიგრანტი მოელის წიგნისმიერ სიცოცხლეს უშუალოდ მისი ხელით იმ სამეცნიერო სივრცეში, სადაც სამკალი ფრიად დაგვგროვებია, მუშაკნი კი ნელ-ნელა ემატებიან... მაგრამ ხომ მაინც ემატებიან. თანაც რაოდენ მაცდურად გადაშლილა ემიგრანტული სინამდვილის ლაბირინთები!..

***

ბევრგვარი ხიდი გადებულა საზღვარსაქეთა და იქითა საქართველოს შესაერთებლად, და მათ შორისაა ის ხიდიც, ერთი ბოლო სიმონ ჩიქოვანი სამარეზე რომ გადმოწვდენილა, მეორე კი ლილი გეგელაშვილის საფლავზე... და ამთლიანებს ორ რომანტიკულ გაელვებას, ორ პოეტურ აღმაფრენას, ორ სხივოსან ლეგენდას, დროის საზღვრებს რომ არღვევენ და ორფეოსის გვერდიგვერდ იმკვიდრებენ ადგილს ლიტერატურული მითოსის ფურცლებსა და ლირიკულ მარტიროლოგში.

**როსტომ ჩხეიძე**

# შესანიშნავი ინგლისურის გაკვეთილი

**ნათია ნაცვლიშვილი**

***მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ინგლისური ენის შემსწავლელი წრის პედაგოგმა, ანჟელა ბუაძემ სასწავლო წლის ბოლოს შემაჯამებელ, საანგარიშო გაკვეთილზე მიგვიპატიჟა. ძალიან ბევრი ჩვენი თანაქალაქელისათვის არის ცნობილი ამ პედაგოგის მრავალწლიანი საქმიანობა. ქალბატონი ანჟელა ჩვენთან საუბარში სიამოვნებით იხსენებს საინტერესო მოგონებებით დატვირთულ ბიოგრაფიას, ის იმ პედაგოგთა შორისაა თითო ოროლა რომ გვყავდა სამტრედიაში, და იმხანად არცთუ პოპულარულ ინგლისურ ენას რომ ასწავლიდნენ მოსწავლეებს.***

1970 წელს დაიწყო ანჟელა მასწავლებელმა მუშაობა ნაბაკევის საშუალო სკოლაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის ლინგვისტიკის განყოფილება დაამთავრა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მათემატიკას ფაკულტეტის სტუდენტები ინგლისურ ენაზე ეუფლებოდნენ. ამ ფაქტორმა მისცა ანჟელა მასწავლებელს შესაძლებლობა, ინგლისურ ენაზე ჩაეტარებინა სკოლაში მათემატიკის ღია გაკვეთილები.



ნიჭიერი პედაგოგი ნაბაკევის სკოლაში იმჟამინდელმა ინტელექტუალურმა წრეებმა შეამჩნიეს და პედაგოგი საზოგადოებრივად აქტუალურ საქმიანობაში ჩაერთო. მოგვიანებით, № 1 საჯარო სკოლას ინგლისურის პედაგოგად უბრუნდება და დღემდე აგრძელებს მუშაობას. ამჯერად ქალბატონი ანჟელა ინგლისურ ენას დაწყებით და მე-5 კლასებში ასწავლის.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში პედაგოგს მოწავლეები ჰყავს I და X კლასების ჩათვლით. ენის გაკვეთილი კვირაში 2-ჯერ უტარდებათ. ინგლისური წრის წევრები არიან მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები.

''ზოგჯერ მოსწავლეებს ცოდნის განმტკიცება სჭირდებათ, ეს მათ სრულიად უსასყიდლოდ შეუძლიათ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, წლების განმავლობაში უამრავი მოსწავლე გვყავს, ყველასთან ინდივიდუალურად ვმუშაობთ''. – გვეუბნება ქალბატონი ანჟელა.



შემაჯამებელი გაკვეთილი, რომლის სტუმრებიც ვიყავით ტრადიციულად, შინაარსიანი და საინტერესო იყო. მოსწავლეები ცოდნას აჯამებდნენ განვლილ მასალაში. მათ 300 ნასწავლი სიტყვა უნდა გამოეყენებინათ და სხვადასხვა თემის გარშემო ესაუბრათ ამ ლექსიკით. თემებია: ტანისამოსი, სხეული, საჭმელი და სხვა, კითხვა, წერა, მოსმენა, დიალოგი – ყველა ეს კომპონენტი მოიცვა საგაკვეთილო პროცესმა.

დიალოგები ზეპირად წარმოადგინეს, გაკვეთილზე მოსმენილი უცხო ტექსტები წაიკითხეს და შემდეგ თარგმნეს, ინგლისურ ენაზე იმღერეს. პედაგოგმა განსაკუთრებით გამოარჩია, აქტიური მოსწავლეები: თეკლა თევზაძე, ლელა ღვინიანიძე, ნაკო ვერულეიშვილი, ქრისტინა და აჩი სულაქველიძეები, ნინო და მიშიკო ესაკიები, ნინო კვიჟინაძე. გაკვეთილს დაესწრნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა შემოქმედებითი სექციის პედაგოგები: ინგლისურის პედაგოგი მარინა ცინცაძე, ელიკო ანკვაბი, ფოლკლორული განყოფილების ხელმძღვანელი მადონა კოხრეიძე, ტატა გოგუაძე და სხვები. გაკვეთილის ტექნიკურ მხარეზე ალმირ არველაძემ იზრუნა. კომენტარი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს ვთხოვეთ;

''ანჟელა მასწავლებელი ყოველთვის მოწესრიგებული, პროფესიონალი ქალბატონია, ამიტომაც არის მისი ყველა გაკვეთილი ღრმად შინაარსიანი და საინტერესო. ის არის ძალზე დაუზარელი და ენერგიული, რომლის ხელშიც უამრავი თაობა აღზრდილა, წლებია ჩვენთან მუშაობს, მადლობის მეტი არაფერი გვაქვს მისთვის სათქმელი. მოგეხსენებათ, ჩვენთან ინგლისურის ორი წრე მუშაობს, ბავშვების ნაწილს პედაგოგი მარინა ცინცაძე ასწავლის, დღეს შესანიშნავი გაკვეთილი ვიხილეთ, მჯერა, ეს ბავშვები ისევე გაიკვალავენ გზას განათლების მწვერვალებისაკენ, როგორც ანჟელა მასწავლებლის სხვა მოსწავლეებმა გაიკვალეს''.


**იყიდება**

პიანინო ''აკორდი''. ფასი შეთანხმებით.
**ტელ: 599 01 59 00**

2000კვადრატული მეტრი მიწის ფართი ქალაქ სამტრედიაში, ჭავჭავაძის ქუჩა №82-ში.
ფასი შეთანხმებით.
**ტელ: 558 71 67 16**

კეთილმოწყობილი სახლი 2500 კვადრატული მეტრი ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით.
**მისამართი: სოფელი ჭაგანი. ტელ: 593 66 82 60; 557 20 60 44**

## გაგუებმა გვასახელეს

მაისის ბოლოს ქუთაისში ჭადრაკში საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართა, რომელშიც იმერეთის რეგიონის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მათ შორის იყვნენ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) აღსაზრდელები.

I ადგილი IV თანრიგოსან გოგონათა შორის 9-დან 8 ქულით ლალი გაგუამ დაისაკუთრა (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი).

ამავე ასაკში III ადგილზე გავიდა ბარბარე გაგუა (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

IV თანრიგოსან ბიჭებს შორის III თანრიგის ნორმა შეასრულა ოთო ხუჭუამ (მწვრთნელი ნინო ჯვარშეიშვილი).

6 წლამდე ბიჭებს შორის კი IV თანრიგის ნორმა მამუკა მილიტიევმა შეასრულა (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

შესაბამისი თასებით, მედლებით დაჯილდოვდნენ გამარჯვებული მოსწავლეები.

წარმატებებს ვუსურვებთ ნორჩ მოჭადრაკეებს, მათ მწვრთნელებს მომავალ ასპარეზობებში.

ლევან გაბეჩავა

## სპორტულ-ინტელექტუალური აქტივობა მე-12 სკოლაში

***ასეთი გაკვეთილები ტრადიციად უნდა იქცეს. ინტელექტუალურ განვითარებას სპორტულიც უნდა ერწყმოდეს და ჯანსაღ ცხოვრების წესს ნაზიარევი თაობა მომავალში ყოველგვარ დაბრკოლებას და წინააღმდეგობას ადვილად გაუმკლავდება.***

მე-12 საჯარო სკოლის მე-2 კლასის დამრიგებელმა, მედეა გეგეშიძემ მოსწავლეებს წლის ბოლოს მხიარული სტარტები მოუწყო, ამ სპორტულ აქტივობას კი ბავშვებმა შესაშური სისხარტითა და ემოციით შეუხამეს ქართველ კლასიკოს პოეტთა პოეტური მარგალიტების წარმოთქმით. თითოეული სპორტული შეჯიბრის შემდეგ მოსწავლეები ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, მურმან ლებანიძის და სხვათა შესანიშნავ ლექსებს კითხულობდნენ.

მოსწავლეები ორ ჯგუფად დაიყვნენ: "არწივი" და "შევარდენი". ერთმანეთს უამრავ საინტერესო თამაშში შეეჯიბრნენ ქორეოგრაფიული ნომრები ქრისტინე ზაქრაძის, მუსიკალური კი, ლელა გოლიაძის დახმარებით მოამზადეს. საინტერესო, ხალისიანი, დაძაბული სანახაობა საბოლოოდ გუნდ "არწივის" გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა, როგორც



ჟიურის ხელმძღვანელმა, სკოლის სასწავლო ნაწილმა, ხათუნა კოსტავამ აღნიშნა, ამ თამაშში გამარჯვება პირობითი ცნებაა, რადგან გაიმარჯვა მეგობრობამ. "აჩვენეთ ეს ბავშვები მსოფლიოს და ომი არ იქნება, იცხოვრეთ ასეთი ჯანსაღი წესით და მომავალი ბედნიერი გექნებათ". –



უსურვა წარმატებები ბავშვებს ხათუნა კოსტავამ. მისი პათოსი სკოლის დირექტორმა, ხათუნა თელიამაც გაიზიარა და განაცხადა:

"მიხარია, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობთ, მთელი ცხოვრების მანძილზე ჯანმრთელები, ლაღები, ძლიერები იყავით, დღეს გაიმარჯვა მეგობრობამ და ურთიერთსიყვარულმა".

ამ სპორტულ ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შეჰმატეს სპორტული აკრობატიკის ჯგუფის წევრებმა. ამ ჯგუფს სპორტული აკრობატიკის მწვრთნელ-პედაგოგი იური კორძაძე მე-12 საჯარო სკოლაში ავარჯიშებს. ბატონი იური ასევე არის მე-12 სკოლის სპორტის პედაგოგი. მეორეკლასელთა შორის სპორტული აკრობატიკის ჯგუფის წევრებიც ერივნენ. პედაგოგ მედეა გეგეშიძეს, გარდა სკოლის დირექტორისა და სასწავლო ნაწილისა, საინტერესო ღონისძიების მოწყობის გამო მადლობა ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა ეთერ აბრამიძემაც გადაუხადა. იმ დღეს სპორტულ შეჯიბრში მშობლებმაც მიიღეს მონაწილეობა და თავადაც იხალისეს.

ნათია ნაცვლიშვილი

## "სამტრედიაში მძლეოსნობა უნდა ავაღორძინოთ"

ერიკო ბარამიძე და გოგა გოგიტაშვილი თანატოლები არიან. ბიჭები სოფელ ღანირის საჯარო სკოლის მე-10 კლასში სწავლობენ. მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ახალგაზრდები სპორტითაც არიან დაკავებულები. 6 თვის წინ მძლეოსნობაში დაიწყეს ვარჯიში და უკვე სერიოზულ წარმატებასაც მიაღწიეს.

ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელ-მასწავლებელი, თამაზ გოგიბერიძე ერიკოს და გოგას დიდ სპორტულ მომავალს უწინასწარმეტყველებს.



ერიკო ბარამიძემ საქართველოს 2016 წლის ახალგაზრდულ ჩემპიონატში მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავა. მან 800 მეტრი 2 წუთსა და 19 წამში დაფარა. ამ ასპარეზობას წინ ქალაქ ქუთაისში, იმერეთის ზონალური ჩემპიონატი უსწრებდა. 1000 მეტრზე მარშ გარბენში ერიკომ და გოგამ გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს.

თამაზ გოგიბერიძე, მწვრთნელ-მასწავლებელი: "6 თვეში ასეთი შედეგი კარგის მანიშნებელია. ბიჭებს მონდომებასთან და შრომისმოყვარეობასთან ერთად ბუნებრივი ნიჭი გააჩნიათ, მძლეოსნობის ამ სახეობაში სერიოზული წარმატებები ჰქონდათ. გოგა გოგიტაშვილი 1000 მეტრ და ერიკო ბარამიძე 800 მეტრ გარბენში რაიონულ პირველობაზე ჩემპიონები გახდნენ. მომავალი წლის იანვარში ბიჭები საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან. 1990 წლიდან ვხელმძღვანელობ მძლეოსნობის წრეს. ამ დროის განმავლობაში ბევრი წარმატებული სპორტსმენი გავზარდე, თუმცა, ბოლო პერიოდში სერიოზულად მოვიკოჭლებდით, სხვადასხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გამო. გადავწყვიტეთ, მძლეოსნობა კვლავ ავაღორძინოთ სამტრედიის მუნიციპალიტეტში".

7 ივნისს საკრებულოს სხდომათა დარბაზში ღანირელ მძლეოსნებს სპორტის მესვეურებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს და სიმბოლურად გადასცეს ის მედლები და სიგელები, რომლებიც ბიჭებმა სხვადასხვა ასპარეზობებში მიიღეს.

კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ გამარჯვებულებს წარმატებები მომავალშიც უსურვა: "მისასალმებელია ის, რომ მუნიციპალიტეტში ჩვენი ახალგაზრდები დაკავებულნი არიან სპორტით, ჯანსაღი ცხოვრების წესით. სურვილი მაქვს, რაც შეიძლება მეტი სამტრედიელი დაკავდეს სპორტით. ვულოცავთ ამ ბიჭებს წარმატებებს. ვუსურვებ, უახლოეს მომავალში არა მარტო სამტრედიის, არამედ საქართველოს სახელი გაეტანოთ საზღვარგარეთ. ამდენად, უფრო დიდი მწვერვალები დაეპყროთ სპორტის ამ სახეობაში".

ნინო ნანიტაშვილი

## თუ ლოყაზე მუწუკები მოგიმრავლდათ

საზოგადოდ კანი, მით უფრო სახის კანი, შინაგან ორგანოთა ჯანმრთელობის სარკეა. როდესაც შინაგან ორგანოთა ფუნქცია მწყობრიდან გამოდის და ვეღარ უმკლავდება აღმოცენებულ პრობლემებს, ამას კანზე გამონაყარი გვამცნობს. რაც მთავარია, ორგანიზმის თითოეულ ორგანოს მისი შესაბამისი კანის უბანი აქვს, ანუ ადგილი, რომელზეც ჰპოვებს ასახვას. მაგალითად: ფილტვებში ჭარბი სითხისა და ლორწოს დაგროვების დროს, ლოყებზე ხშირად ვითარდება წვრილი წითელი მუწუკები.

ასეთ დროს გირჩევთ მოამზადოთ სამკურნალო კოქტეილი: აიღეთ ნახევარი ჭიქა წვრილად დაქუცმაცებული ალოეს ფოთოლი, ნახევარი ჭიქა დაქუცმაცებული ლიმონის ქერქი და 2 ჭიქა თაფლი. კარგად აურიეთ და გააჩერეთ ერთი კვირა. მიიღეთ 3 სადილის კოვზი ყოველი ჭამის წინ 20 წუთით ადრე, მინიმუმ 40 დღის განმავლობაში. შემდეგ 10 დღე შეისვენეთ და კვლავ გაიმეორეთ კურსი. მკურნალობის პროცესში მაქსიმალურად შეზღუდეთ ცხიმიანი და შაქრის შემცველი პროდუქტების მიღება.

თუ ლოყებზე წითელი მუწუკების ნაცვლად თეთრი თავების მქონე ე.წ. ჩირქგროვები განვითარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ "რევოლუცია" ნაწლავებშია. ზემოთ ნასწავლი კოქტეილი ამ დროსაც გამოგადგებათ, ოღონდ მითითებულ პროდუქტთან ერთად რძის ნაწარმის მიღებაც უნდა შეზღუდოთ მკურნალობის პროცესში.



## შუქურა ჩიხლაძის ხსოვნას

ქალბატონი შუქურა ჩიხლაძე ათეული წლების მანძილზე ღირსეულად ემსახურა სამტრედიისა და მეზობელი რაიონების მოსახლეობას. მის განვლილ გზას უკავშირდება უამრავი მადლიერი პაციენტი და გადარჩენილი სიცოცხლე. ქალბატონი შუქურა იყო ნიჭიერი, წარმატებული ექიმი, თერაპიული სამსახურის ხელმძღვანელი. ყველა თაობისათვის შესანიშნავი მეგობარი. ის იყო ღირსეული ოჯახის შვილი, შეუდარებელი დედა, მეუღლე და ბებია. მისაბაძი იყო მისი თანადგომა ჭირსა და ლხინში. მისთვის დამახასიათებელი იყო სწორი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღება დაფუძნებული მის მაღალ პროფესიონალიზმსა და აკადემიურობაზე. წავიდა და დატოვა დიდი ტკივილი მეგობრების გულში.

რუსუდან ჭყუასელი, ნუნუ აბრამია, გურამ მშვილდობაძე

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი, ქალბატონი

**შუქურა ჩიხლაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები გულისტკივილით იუწყებიან დიდებული ქალბატონის, ღვაწლმოსილი ექიმის, ღირსეული მეუღლის, დედისა და ბებიის, ერთგული მეგობრის

**შუქურა შალვას ასული ჩიხლაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ჭირისუფლებს.



დები გულიკო, ირა, რძალი ზინა წიქვაძე, სიძე ჯონდი გაბეჩავა, დისშვილები: ლევან, მანანა გაბეჩავები, ვაჟა, ნინო ჩადუნელები, ძმისშვილები სერგო, თამაზ წიქვაძეები, მულისშვილები ნინო, მაია იობაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნაზიკო (ნაზი) ალექსანდრეს ასული წიქვაძე-კოტრიკაძე**

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ლევან გაბეჩავას დეიდის, ქალბატონი

**ნაზიკო (ნაზი) ალექსანდრეს ასული წიქვაძე-კოტრიკაძის**

გარდაცვალების გამო.

# მღეროდა მზე და მღეროდა დღე

"ათასი კვირტი, ათასი ვარდი და აფეთქება ასიათასი" _"მომავლის პარკში" ერთად შეიკრიბა, იმიტომ რომ ივნისის პირველივე რიცხვში ბევრი წლის წინ საერთაშორისოდ დაწესებული ბავშვთა დაცვის დღე აღენიშნათ. არაერთ გასართობსა და მხიარულ სანახაობას



თავიდან ბოლომდე სხვადასხვა ასაკის მოზარდები, პატარები თუ უფრო დიდები თავად ართმევდნენ თავს. ვინ, თუ არა საბავშვო ბაღების აღსაზრდელები სახელდახელო სცენასა და მის წინ, ბავშვური მონდომებით, ცეკვა-სიმღერით საკუთარ საბავშვო ბაღს წარადგენდნენ. ღონისძიებაში, რომელიც კულტურის სამსახურის, მისი ხელმძღვანელის, ნატალია მანჯგალაძის ორგანიზატორობით გაიმართა, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობით ქალაქის თითქმის ყველა საბავშვო ბაღი



მონაწილეობდა. განსაკუთრებულად მომზადებული საკონცერტო ნომრები ცხადყოფდა, რომ პედაგოგებს ბავშვებთან ბევრი უმუშავნიათ. ეს რაც უფროსებს შეეხებათ, ის კი, მონდომებითა და ნიჭიერებით რომ ასრულებდნენ ყველა, ხშირ შემთხვევაში რთულ ნომრებს, ბავშვური ემოციებით რომ გადმოსცემდნენ მათ, პატარების დიდი დამსახურება გახლდათ. ფერადი ზაფხულის კვირაძალზე კიდევ უფრო ფერადი, სიცოცხლით, სიყვარულით სავსე იყო ქალაქის ცენტრი სამტრედიაში. და არა მარტო აქ, სხვაგანაც, ბევრგან



დედამიწაზე, რადგან ყველა დღესთან ერთად, ეს დღე, 1 ივნისის დარი, განსაკუთრებით საბავშვო გახლავთ. გასართობიც არაერთი ჰქონდათ პატარებს "მომავლის პარკში". "წითელი ჯვრის" სამტრედიის ორგანიზაცია ნუგბარით გაუმასპინძლდა მათ. კულაშის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის "მომავლის ხმა" ინიციატივით, სახის მოხატვაც გახლდათ შესაძლებელი. სამხატვრო სკოლის აღსაზრდელებმა თავიანთი ნამუშევრებით გააფერადეს და მოხატეს იქაური მხიარულება. საჰაერო ბუშტებიც დაურიგდათ საჩუქრად ადგილობრივი გამგეობიდან, ქუთაისიდან მოწვეულმა "მოდუსის" თეატრმა, რომლის სტუმრობაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ზღაპრის გმირები ასტუმრა პატარებს. ღონისძიებას, რომელიც საბა ჩაჩუასა და ბექა თევძაზეს მიჰყავდათ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თუნდაც ერთი დღის უდარდელი იყო გარემო, დარდისა და ფიქრისათვის არც უფროსებს ეცალათ. ირგვლივ მხოლოდ ღიმილი იდგა და პატარების წკრიალა ხმებით ამღერებულ "მომავლის პარკში" სახვალიოდ ისმოდა: "მე, შენ და საქართველო, ოდელია რანუნი!"

მღეროდა ცა და მღეროდა დღე, უღრუბლო ცაზე მღეროდა მზე. სიხარული და იმედის დარი ბრწყინავდა "მომავლის პარკში" სახვალიო ნათელი დღისთვის.

**თეა ბაბუნაშვილი**



**თავდაყირა დაყენებულ განათლებას
რომ ვუშველო,
საჭიროა გამართლება!**



**ბატონ მერაბ კაჭახიძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

გფარავდეთ უფალი!

**პატივისცემით "სამტრედიის მაცნე"**



**ნათელა გელეიშვილს!**

არიან ადამიანები, რომლებიც გვაყვარებენ თავიანთი დაბადების თარიღს. ზუსტად ასეთია 17 ივნისი, თქვენი დაბადების დღე. იგი ჩვენთვისაც ძვირფასია, რადგან ამ დღეს დაიბადა ქალბატონი, რომელმაც სამტრედიის სინამდვილეში ღირსეულთა შორის ღირსეული შვილის, დის, მეუღლის, დედის, ბებიის, დიდი ბებიის და საზოგადოდ, ადამიანის ადგილი დაიმკვიდრა. რა იქნებოდა ჩვენი სამეგობრო თქვენს გარეშე, რომლისგანაც ყოველივე საუკეთესოს ვიღებთ.

უფალს ვთხოვთ, თქვენი თავი ძალიან დიდხანს ჯანმრთელად და გახარებულად გვიმყოფოს, რომ თქვენს ოჯახთან ერთად ჩვენი ყოველდღიურობა ლამაზი და შინაარსიანი იყოს.

**მეგობრები**

---

დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ დბადების დღეს. უფალმა ჯანმრთელობა და დღეთა სიმრავლე დაგაბედოთ, ოჯახური ბედნიერება არ მოგაკლოთ.

დიდხანს ყოფილიყავით სამტრედიის სინდის ნამუსად

**"სამტრედიის მაცნე"**

**ქალბატონ ნინო სტურუას!**



მცხუნვარე ზაფხულის ენერგიითაა სავსე თქვენი სული _ დადებით ემოციათა უხვად გამცემი, ადამიანური ღირებულებების სიმრავლით თვალშისაცემი, უბრალო, ამავდროულად გამორჩეულად ამაღლებული...

საქმეს _ მოწაფეს რომ ცოდნის გაუვალ ბილიკებზე შეეხიდოთ _ წლებია, უტოლოდ ემსახურებით. ამას მხოლოდ თქვენი აღზრდილები როდი აღნიშნავენ, მაგრამ მე, როგორც ერთ-ერთ მოსწავლეთაგანს, მეტად მეადვილება საუბარი.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, ნინო მასწავლებელო! გმეგზურობდეთ ყოველივე საუკეთესო _ ოჯახური კეთილდღეობა, სიხარული, ჯანმრთელობა, პროფესიული წინსვლა!..

წმინდა ნინოს კალთა გფარავდეთ!

**შოთა კაკავა**

**ბატონებს ალექსანდრე (საშა) ლეჟავას და ანზორ ხარებავას!**

დაბადების დღეს გილოცავთ, უფალმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ, იდღეგრძელეთ!

**ვეტერანთა რაიონული კავშირი**

**ვენერა კაკავას!**



გვინდა, წლებმა მომავალშიც ვერაფერი დაგაკლოს, ჩვენო ერთგულო, ყველაზე მზრუნველო და გულშემატკივარო მეგობარო. 8 ათეულ წელს მიუკაკუნე. გვჯერა, 80 წლის იუბილეს ასე ერთობით, შენი კარგად ყოფნითა და სიხარულით შევხვდებით.

გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს შენს საყვარელ, დიდ ოჯახთან ერთად!

**შენი მეგობრები**

**ქალბატონ დარეჯან გოგიავას!**

"მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო", _ ასეა სწორედ.

ჩვენო დარეჯან, ქალური ღირსებებით, დიასახლისობით, სხვათა ჭირისა და ლხინის გაზიარების უნარით, გულმოწყალებით გამორჩეულო, მეუღლევ, დედავ, ბებიავ, დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების საიუბილეო თარიღს.

გისურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას, ღვთის წყალობას თქვენს ძვირფას ოჯახთან ერთად.

**უახლოესი მეზობლები**



**ჭუჭუნა გულდედავა - ხურცილავას!**

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს უსაყვარლეს შვილებთან, იასთან და თამართან ერთად. სიხარულით და ბედნიერებით სავსე დღეები არ გამოგილიოთ უფალმა!

**პატივისცემით ნინო ნანიტაშვილი**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა კაკავა